ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ბიძინა კუჭავას ოჯახი არჩილ თალაკვაძისგან 300 ათას დოლარს ითხოვს



გვ.4

მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის

19 აპრილიდან

ერიხ მარია რემარკი

სამი მეგობარი

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი




ოთხშაბათი, 20 აპრილი, 2016

№93 (7019)

ფასი: 50 თეთრი

# თინა ხიდაშელი: „ვარშავის სამიტზე წევრობას ვითხოვთ და არა მაპს“



თორნიკე შარაშენიძე: „ვერ გავიგე, ვისზეა გათვლილი ეს განცხადება – სოლოლაკზე, ევროპაზე თუ შიდა საზოგადოებაზე“

უილიამ ლაჰიუ: „საქართველო უნიკალური შემთხვევაა ნატოს ისტორიაში"



გვ.5



გვ.3

## გიორგი კანდელაკმა სტრასბურში მთავრობა ჩაუშვა

## „ბოკერია, მაჭავარიანი და გაბაშვილი ერთმანეთს დაერივნენ“



კარლო კოპალიანი: „ნაციონალებს სექსები აკლდათ და ამიტომ იღებდნენ იმ ვიდეოებს“

გვ.2



ISSN 1987-9385

## ია ანთაძე: „სტუდენტებზე ზეწოლას ადგილი ნამდვილად ექნებოდა“

გვ.3

„ლადო პაპავამ ვერ შეძლო უნივერსიტეტში რეფორმების გატარება“





## გიორგი ოთხმეზური: „ლადო პაპავას გადაყენება ნაციონალების ინსპირირებული იყო“

გვ.4

## მანუჩარ მაჩაიძე: „რუსეთის მომხრეობას საქართველოს მოძულეები გვაბრალებენ“

„სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა ცუდად დაამთავრებენ“

გვ.5



ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# „ბოკერია, მაჭავარიანი და გაბაშვილი ერთმანეთს დაერივნენ“

## კარლო კოპალიანი: „ნაციონალებს სექსები აკლდათ და ამიტომ იღებდნენ იმ ვიდეოებს“

შორენა მარსაგიშვილი

**როგორ დაამუნჯა ნუგზარ წიკლაურმა უმრავლესობის დეპუტატი, რის ნაკლებობას განიცდის ნაცმოძრაობა, რა შეცდომებს აღიარებს „ქართული ოცნება", რა სიებია შედგენილი ოდესაში? – ამ თემებზე „ახალ თაობას" „ქართული ოცნების" ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი კარლო კოპალიანი ესაუბრება.**



***– „ქართულმა ოცნებამ“ სამართლიანობის აღდგენაზე უარი თქვით? ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ნუგზარ წიკლაური ამბობს, რომ ისინი აღადგენენ ქვეყანაში სამართალს.***

– მოიცა, მოიცა, ვინ აპირებს სამართლიანობის აღდგენას, ნაციონალები? ეგ რანაირად? რაღაც უცნაურობასთან გვაქვს საქმე..... სიტყვაძუნწი რესპონდენტი არ ვარ, მაგრამ ხომ ნახეთ, როგორ დამამუნჯა ასეთმა უტიფარმა განცხადებამ. პირდაპირ ენა დამება, შოკში ვარ.

მათგან ამაზე უარესი განცხადებებიც მომისმენია, პარლამენტში უყვართ ხოლმე ასეთი რაღაცების ლაპარაკი, მაგრამ როგორმე შემოდგომამდე უნდა ავიტანოთ. ოქტომბერში არჩევნებია და მოშორდებიან ეგენი. იმედია, ამ ყველაფრიდან ხელისუფლება სათანადო დასკვნებს გამოიტანს.



## „სააკაშვილი 2.000 კაცის დაჭერას აპირებს“

***– სათანადო დასკვნების გამოტანაში რას გულისხმობთ?***

– აღარ უნდა დავუშვათ, რომ ყოფილმა ხელისუფლებამ ასეთი შეურაცხყოფა მიაყენოს ხალხს. მაინც წიკლაურის სამართლიანობასთან ვარ, გამაგებინეთ, რანაირად აპირებს ეგ კაცი ამის გაკეთებას? ჩვენ დაგვიჭერენ და ეს იქნება სამართალი? მაგის მეტი მართლა არაფერი იციან მაგათ. 2012 წლის 1 ოქტომბრისთვის სააკაშვილს დასაჭერი ხალხის 2.000 კაციანი სია ჰქონდა შედგენილი, სადაც მეც ვიყავი. ეტყობა, ამ სიას გააცოცხლებენ. არც ახალი სიის შედგენა გაუჭირდებათ. ან რად უნდათ ეს სია, არ მოუვიდოდათ კაცი თვალში და აპატიმრებდნენ.

ერთ რამეში კი ვეთანხმები ნუგზარ წიკლაურს, საქართველოში სამართლიანობა აღსადგენია. სამართალს რომ პური ეჭამა, ეგ და მაგის დამქაშები ციხეში უნდა ყოფილიყვნენ და ციხის კედლებზე თავის პარტიის შესახებ ეწერათ ეპიტაფიები.

გესაუბრებით და თან ვფიქრობ, ვის გასაგონად გაკეთდა ეს განცხადებები. ჩვენს მოსახლეობაზე ეს არ გაჭრის, არც დასავლეთი დაიჯერებს ამას. რჩება ერთი ვარიანტი – ამ ნაციონალებმა საბოლოოდ გააფრინეს. გაფრენა არც აქამდე აკლდათ და ეს მათი მმართველობის 9 წლიდანაც კარგად ჩანს. 2008 წელს ომიც ფულის საშოვნელად წამოიწყეს და ეს აუცილებლად უნდა იქნას შესწავლილი.

***– რას ნიშნავს, ომი ფულის საშოვნელად დაიწყეს?***

– აბა თქვენ რა გგონიათ, მართლა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა სურდათ? ერთი მე ვარ ჩინეთის იმპერატორი და მეორე ეგენი არიან ქვეყნის პატრიოტები. არის ასეთი ანდაზა – ომი ყველაფერს ჩამოწერს. იმ ომის დროს მილიარდ დოლარზე მეტი ქონებაა ჩამოწერილი. ესენი ყურადღებას კოვზებზე და უნიტაზებზე ამახვილებენ, მაგრამ იცით რა იარაღი გაქრა ჰაერში? ვიღაცას მიჰყიდეს ეს იარაღი, ვითომ ომში განადგურდა და ფული ჯიბეში ჩაიდეს.

ასევე არ დაგვავიწყდეს 4.5 მილიარდი, რომელიც მაშინ გამოგვიყვეს. აქედან 1 მილიარდი იყო გრანტი, დანარჩენი კი სესხი. სად გაქრა ეს ფული, არავინ იცის.

***– ამ ფულით დევნილებისთვის სახლები ააშენეს.***

– როგორ შეიძლება ამ გეტოებს სახლები უწოდო? ომიდან რამდენიმე კვირაში კეზერაშვილი ოფშორში ხსნის ანგარიშებს, სადაც ასეულობით მილიონობით დოლარი დაილექა. ჩვენმა პროკურატურამ, უშიშროებამ და გნებავთ დაზვერვამ ამ საქმეს უნდა მისდიონ. ყველაფერი უნდა იქნას გამოძიებული, წიკლაურმა და ვაშაძემ ენა მუცელში რომ ჩაიგდონ. მართლა აღმაშფოთებელია, აქამდე რატომ არ მოხდა კეზერაშვილის დაკავება.

***– რანაირად უნდა მოხდეს მისი დაკავება, როცა საფრანგეთის და ლონდონის სასამართლოებმა ერთმანეთის მიყოლებით გაამართლეს?***

– ეგ იმიტომ ხდება, რომ ვიღაცები, ვინც ამ საქმეებს იძიებენ, კეზერაშვილს და მაგის ძმაკაცებს ხელს აფარებენ. საგამოძიებო ორგანოებმა სხვანაირად და ცოტა წესიერად უნდა იმუშაონ. წესიერად რომ არ მუშაობენ, ამიტომაც გვიზის სისხლიანი ბარამიძე პარლამენტში გედივით ყელმოღერებული და ჭკუას გვარიგებს. ის სერგო რატიანი კიდევ გამოვარდება და პატიმრებს აწამებთო, გვაბრალებს. ვის ვაწამებთ, ვანო მერაბიშვილს? ციხეში კომპიუტერი უდგას და განცხადებების წერით აიკლო ყველა. წამება მათი მმართველობის დროს იყო. ისეთ ისტორიებს ყვება ციხიდან გამოსული ხალხი, შესაძლოა, გული გაგისკდეს.

მივმართავ ჩვენს მოსახლეობას, არავითარ შემთხვევაში არ აყვეს მათ პროვოკაციებს. ამ მყვირალა განცხადებებით იმ დაპირისპირების გადაფარვაც სურთ, მათთან რომ ხდება. იქედან გამოდის ხმები, რომ ერთმანეთის დაჭმაზე არიან გადასული. საარჩევნო სიაში ჩასმის გამო ლამისაა დახოცონ ერთმანეთი.

***– რას გულისხმობთ?***

– ნაციონალების ერთი ფრთა ამბობს, სიაში ახალი ხალხი უნდა შევიყვანოთო. ამის გამო მივარდნენ იქ ძველი სახეები და ერთი ამბავი ატეხეს, სიაში ჩვენც გვინდა და რა უფლებით არ გვსვამთო. მაჭავარიანის, ბოკერიას და გაბაშვილების დაჯგუფებები დაერივნენ ერთმანეთს. ამ გოკა გაბაშვილს სააკაშვილის მრჩევლებმა წამოაძახეს, მამაშენი კოტე შევარდნაძის მლოკველი იყო და სამოქალაქო ომის დროს იარაღით დარბოდაო. აკო-მაკო-კაკოები, მიშები და ნუგზარები არჩევნებამდე ერთმანეთს შეჭამენ. ამ ხალხის მიზანი საქართველოს დაღუპვა იყო და ივანიშვილი რომ არ გამოჩენილიყო, მიზანსაც მიაღწევდნენ. ყოველგვარი გადამეტების გარეშე ვიტყვი, მან ხალხიც და ქვეყანაც დაღუპვისგან იხსნა.



***– ამბობენ, ივანიშვილმა ნაციონალური მოძრაობაც გადაარჩინაო და ამაზე რას იტყვით?***

– ვარ ახლა ის კაცი, რომელიც მაგათ გადასარჩენად ხელს გაანძრევდა? ასევე არიან სხვა ჩემი კოლეგები. ჩვენ ეგ სექტა არ გადაგვირჩენია. იმ 9 წლის მანძილზე მათ ფესვები ძალიან ღრმად გაიდგეს და მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მოისყიდეს ლობისტები და მფარველები.



ჩემზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, სამართლიანობის აღდგენას 2012 წლის 2 ოქტომბერს დავიწყებდი და 10 ოქტომბერს დავასრულებდი. ეგ ნაცები არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ ჩემოდნებზე შემოსხდნენ, მაგრამ მერე გავჩერდით და მაგათაც მოიმაგრეს პოზიციები. სამართლიანობა რომ არ აღვადგინეთ და დამნაშავეებს სათანადო ადგილი არ მივუჩინეთ, ამით დიდი სტრატეგიული შეცდომა დავუშვით. ამის მიუხედავად, ამ შეცდომასაც აქვს გამართლება – საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში ბევრად უფრო სოლიდურები და დემოკრატიულები გამოვჩნდით.

***– დემოკრატიულები როგორ გამოჩნდით, ევროპის სახალხო პარტია ლამის ყოველდღე იმას იძახის, რომ ნაციონალებს პოლიტიკური ნიშნით დევნით.***

– მაგათიც მესმის, არა აქვთ მაგ გაჭირვებულებს თემები და რაღაცაზე ხომ უნდა ისაუბრონ? ან რას ნიშნავს, პოლიტიკური ნიშნით მიდის დევნაო. ჯერ სად გავეკიდე ვინმეს და მეორეც, სწორედ რომ პოლიტიკური ნიშნით გავეკიდები. პოლიტიკის გამო მიწევს მაგათთან ერთად ერთ შენობაში ყოფნა, თორემ რა საერთო უნდა მქონდეს მე წიკლაურთან, ვაშაძესთან ან აკოკაკოსთან? წინა პარლამენტში ეგენი გამარჯობასაც კი არ ამბობდნენ.

***– ახლა ამბობენ?***

– მე არ ვესალმები, რაში მჭირდება მაგათი გამარჯობა? მათთან საუბარი ძალიან ძნელია. დამნაშავეებს იდეოლოგიასა და კანონებზე ვერ დაველაპარაკები. ცოტაც მოითმინეთ და 8 ოქტომბერს პოლიტიკურად დასამარდებიან. მანამდე მათ მოღვაწეობაზე პოლიტიკური შეფასება დაიდება. ჩვენი დასავლელი პარტნიორებიც მიხვდებიან, ვისთან ჰქონდათ საქმე. ახლავე იცოდეთ, რომ შეფასება იქნება ძალიან მწვავე.

***– ვინ აპირებს ამ შეფასების დადებას, „ქართული ოცნება“?***

– ეს შეფასება დაიდება კონკრეტული საქმეების შესწავლის საფუძველზე. საერთაშორისო ორგანიზაციებსაც ბევრი საინტერესო დასკვნა უდევთ, საინტერესო ფაქტები აქვთ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებსაც.

ლობისტებსაც ძალიან შერცხვებათ, რომ ნაციონალებს იცავდნენ. მოკლულ ადამიანს თითს რომ მოაჭრიან ბეჭდის წასაძრობად, ეს არის დემოკრატია? ლობისტების ნაფერები ბარამიძის ჩატარებული სპეცოპერაციის დროს მოხდა ეგ ამბავი.

გიორგი ვაშაძეს რომ დაატარებენ აქეთ-იქეთ დემოკრატიის ფორმულასავით, სირცხვილი არ არის? მაგის ხელში დაიბეჭდა ასი ათასობით ყალბი პირადობის მოწმობები არჩევნების გასაყალბებლად. არჩევნების გაყალბებამ ხათუნა გოგორიშვილი გამახსენა, რომელიც ურცხვად ამბობს, „ქართული ოცნება“ არჩევნებს აყალბებსო.

***– თუ ასეთი დასკვნები არსებობს, რატომ იყავით ამდენი ხანი გაჩერებული, აქამდე რატომ არ დადეთ? ან იქნება მართალს ამბობენ თქვენი ოპონენტები, რომ უუნაროები ხართ. საზოგადოების ნაწილიც ეთანხმება ამ მოსაზრებას.***

– კარგად მესმის ჩვენი საზოგადოების და პოლიტიკური პარტიების ნაწილის გულისწყრომა. მეც კარგად ვხვდები, რომ ნაციონალები არამცთუ პარლამენტში, ქუჩაშიც არ უნდა დადიოდნენ, მაგრამ გთხოვთ, ამას სისუსტედ და უუნარობად ნუ ჩაგვითვლით, რადგან რაც სისუსტედ მიგაჩნიათ, სწორედ ეგაა ჩვენი სიძლიერე.

***– რა არის სიძლიერე, ბატონო კარლო, სამართლიანობა რომ არ აღდგა?***

– არა, ეგ ჩვენი სტრატეგიული შეცდომაა. სიძლიერე ისაა, რომ ნაციონალებს არ დავემსგავსეთ და ქვეყანაში სისხლის მდინარეები არ დავაყენეთ. ყოფილი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რომ ასეთ რამეებზე წამოგვაგოს, მაგრამ ვერ ეღირსება. ხალხი დაიღალა, ხალხს სიმშვიდე და გამრავლება უნდა, კიდევ მზე უნდა. მაგათი გაკრეჭილი ლიდერის ხილვა აღარავის სურს საქართველოში. არ გვინდა და ძალით გვატენიან ამ კაცს? არ შევიტენთ.

***– სურს თუ არა მოსახლეობას ნაციონალების გაკრეჭილი ლიდერის ნახვა, ამას არჩევნები გვაჩვენებს.***

– მოიცა, ეჭვი გეპარებათ, რომ ხალხი მაგათზე უარს იტყვის? უარს იტყვის, თანაც ცივ უარს. არჩევნების შემდეგ კომენტარის ჩასაწერად კი არა, წამლად ველარ იშოვით ნაციონალს.

ისიც კარგად ვიცი, რომ უბ-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ია ანთაძე: „სტუდენტებზე ზეწოლას ადგილი ნამდვილად ექნებოდა“

## „ლადო პაპავამ ვერ შეძლო უნივერსიტეტში რეფორმების გატარება“

ნონა ცაბაძე

**უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებს „ახალ თაობასთან" ინტერვიუში ექსპერტი ია ანთაძე აფასებს.**

***– ქალბატონო ია, რა პროცესები მიმდინარეობს დღეს სახელმწიფო უნივერსიტეტებში? თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოთხოვნებს ტექნიკური უნივერსიტეტიც შეუერთდა. როგორია თქვენი შეფასებები?***

– განათლების სისტემა, ძალიან სერიოზულ ცვლილებებს საჭიროებს. ეს ის სისტემაა, რომელიც შედეგს იძლევა ძალიან გვიან და ეს შედეგი არის აუცილებელი ქვეყნისთვის. ამიტომ მე სულაც არ მიკვირს, რომ პერიოდულად იწყება ხოლმე ამა თუ იმ ფორმით ინტენსიური საუბარი რეფორმის აუცილებლობაზე და ძალიან მიხარია, რომ ამჯერად ეს მოხდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

***– ხედავთ პრობლემის გადაჭრის გზებს? განხორციელდება ის, რასაც სტუდენტები ითხოვენ?***

– თავიდან, როდესაც ახალგაზრდების პროტესტი დაიწყო, ვერ წარმოვიდგენდი, რომ შეიძლებოდა ეს პროტესტი ასე შორს წასულიყო. ვფიქრობდი, რომ ყველაზე ოპტიმალური შედეგი შეიძლებოდა ყოფილიყო თვითმმართველობების მოშლა იმ ფორმით, რა ფორმითაც არის და ასე შემდეგ. სინამდვილეში კი ეს არ არის მთავარი.

***– რა არის ამ პროცესში მთავარი?***

– მთავარი არის ის, რომ სწავლების პროცესი იყოს ძალიან მაღალი ხარისხის და რომ ჩვენს უნივერსიტეტებს შეეძლოთ კონკურენტუნარიანი ახალგაზრდებისთვის იმ ცოდნის მიცემა, რაც სჭირდებათ მთელს მსოფლიოში იმისთვის, რომ დასაქმდნენ და პირველ რიგში დასაქმდნენ საქართველოში.

***– დღეს ამ ცოდნას ვერ იძლევა სახელმწიფო უნივერსიტეტი?***

– სამწუხაროდ, ვერა. ამისთვის აუცილებელია აკადემიური თავისუფლება, აკადემიური თავისუფლებისთვის აუცილებელია ფუნდამენტური რეფორმები. მგონია, რომ საკმაოდ შორს წავიდა პროცესი, ბევრად უფრო კარგად მიდის საქმე, ვიდრე მე თავიდან შემეძლო, რომ წარმომედგინა.

***– რას გულისხმობთ, როდესაც აცხადებთ, რომ საქმე კარგად მიდის?***

– ახლა უკვე საუბარია არა მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე, არამედ იმაზეც, რომ ცვლილებები საჭიროა სხვა უნივერსიტეტებშიც. საუბარია არა მხოლოდ თვითმმართველობის სტრუქტურის შეცვლასა და სტუდენტების სხვანაირად ჩართვაზე უნივერსიტეტების ცხოვრებაში, არამედ იმაზეც, რომ აკადემიური საბჭოებიც უნდა იყოს დათხოვნილი, რექტორების არჩევის წესი უნდა შეიცვალოს და ასე შემდეგ.

***– იმის თქმა გინდათ, რომ ჯანსაღი პროცესი მიმდინარეობს?***

– აბსოლუტურად ჯანსაღი პროცესია! ახლა ამ პროცესში უნდა ჩაერთონ ძალიან სერიოზული ადამიანები, რომლებსაც აქვთ რეალური ხედვა. უნდა დაიწყოს უფრო ფართო დისკუსია და ცვლილებებიც კანონში უნდა შევიდეს ამ დისკუსიის საფუძველზე.

***– ლადო პაპავა პროცესის მართულობაზე ალაპარაკდა. ამის შესახებ რას იტყვით?***

– აუდიტორია 115-ის ახალგაზრდები ნამდვილად არ იმართებიან არავისგან. თქვენ რომ ნახოთ, როგორ ხდება იქ გადაწყვეტილებების მიღება, ეს ნამდვილად არის ის პროცესი, სადაც ადამიანები ამბობენ თავის სათქმელს და შემდეგ კენჭისყრით იღებენ ყველა გადაწყვეტილებას.

***– ანუ თქვენ არ იზიარებთ ამ მოსაზრებას, რომ სტუდენტები კონკრეტული ძალის მიერ იმართებიან?***

– ეტყობა, ბატონმა ლადომ რაღაც იცის, რადგან ამას ამბობს, თუმცა რას გულისხმობს, წარმოდგენა არ მაქვს. მე მჯერა ამ ახალგაზრდების და მჯერა, რომ მათ უნდათ ერთადერთი, რომ უნივერსიტეტი იყოს უკეთესი და განათლების სისტემა იყოს უკეთესი.

***– რატომ დადგა დღის წესრიგში ლადო პაპავას გადაყენების საკითხი? ვერ გაამართლა იმედები?***

– ბატონი ლადო ძალიან წესიერი ადამიანია და ვინც უნივერსიტეტშია და ვისაც პირადად მე ადამიანურად ვენდობი, ისინი ამბობენ, რომ უნივერსიტეტში ბევრი კარგი რამ გაკეთდა ლადო პაპავას იქ ყოფნის პერიოდში, მაგრამ ეს ძირეული რეფორმა რომ არ მოხდა, ამაში ორი აზრი არ არსებობს!

არ შეიცვალა აკადემიური თავისუფლების ხარისხი თვისობრივად. დღეს გადაწყვეტილებებს იღებენ ისევ ის ადამიანები, რომლებზეც თავისუფლად არის შესაძლებელი, რომ იყოს პოლიტიკური გავლენები. სწორედ ამიტომ არის, რომ აკადემიურ სფეროში აკადემიური გადაწყვეტილებები უნდა მიიღონ იმ ადამიანებმა, რომლებზეც პოლიტიკური წნეხის მოხდენა შეუძლებელია, იმიტომ, რომ ისინი არ არიან კონკურსებს დაქვემდებარებული და მათ თანამდებობის და ადგილის დაკარგვის საფრთხე არ ემუქრებათ.

***– აუდიტორია 115-ის წევრები საუბრობენ ზეწოლაზე, როგორც პირადად მათზე, ისე მათი ოჯახის წევრების მისამართით. რამდენად უშვებთ ამას, რომ მართლაც იყოს ამ ახალგაზრდებზე ზეწოლა?***



– როგორ არ ვუშვებ! როგორ შეიძლება არ დავუშვა, როდესაც ირაკლი კუპრაძემ პირდაპირ თქვა, რომ მის ოჯახს ემუქრებოდნენ. ამაზე ადვილი გამოსაძიებელი არაფერი არ არის, კონკრეტულად ვინ მივიდა ირაკლის ოჯახში და ვინ ემუქრებოდა და როგორ ემუქრებოდა მისი ოჯახის წევრებს. ასევე არიან სხვა ადამიანებიც, რომლებიც არიან მზად, რომ ითანამშრომლონ გამოძიებასთან.

ეს არის მხოლოდ პოლიტიკური ნების საკითხი. უნდა თუ არ უნდა სახელმწიფოს, რომ გამოიძიოს, ვინ არის ჩარეული ამ პროცესში და ვინ ცდილობს, რომ დააშინოს ახალგაზრდები და გადააფიქრებინოს მათ ბრძოლა რეალური ცვლილებებისთვის. ვუშვებ კი არა, დარწმუნებული ვარ, რომ იყო ასეთი დესტრუქციული ჩარევა. დანარჩენი კი გამოძიების საქმეა.

# გიორგი კანდელაკმა სტრასბურგში მთავრობა ჩაუშვა

შორენა მარსაგიშვილი

**ნაციონალებმა და მეოცნებეებმა სამშობლოში ერთმანეთის ლანძღვით გული ვერ იჯერეს და ერთმანეთს ევროსაბჭოს პლენარულ სხდომაზეც შეებნენ, სადაც მათი ევროპელი კოლეგები ე.წ. პანამა ფეიფერის საქმეზე დებატობდნენ.**

ნაცმოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი კანდელაკმა საქართველოს მთავრობას ვალები დაუთვალა და მთელ ევროპას გააგებინა, რამდენი ასესხა მათ ბიძინა ივანიშვილმა.

კანდელაკმა ევროპელებს ამცნო, რომ პრემიერსა და მთავრობის სხვა წევრებმა კრედიტები ყოფილი პრემიერის ბანკიდან გამოიტანეს. დეპუტატი მიიჩნევს, რომ ეს საკითხი საგამოძიებო ორგანოებმა უნდა შეისწავლონ.

– ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, რომელიც, სხვათა შორის, პანამის დოკუმენტებში იმის გამო მოხვდა, რომ მალავდა ფრანგულ პასპორტსა და საფრანგეთის მოქალაქეობას მაღალი გადასახადებისთვის თავის არიდების მიზნით, რჩება მოქმედი მთავრობის გადაწყვეტილების მიმღებ მთავარ ფიგურად.

საქართველოს მოქმედი პრემიერ-მინისტრი, რომელიც ამ დარბაზში ამ კვირაში სიტყვით გამოვა, ივანიშვილის ყოფილი პირადი ბანკირია. მთავრობის სხვა წევრებიც მისი ყოფილი თანაშემწეები, ექიმები ან მისი კომპანიების ყოფილი თანამშრომლები არიან, – „დაასტუკა“ მშობლიური მთავრობა დეპუტატმა.

მან ევროპელების შეშფოთება იმითაც ცადა, რომ მეოცნებეებს ივანიშვილმა უპროცენტო სესხი გამოუყო.

– მათ აქვთ უპროცენტო სესხები გამოტანილი ივანიშვილის კერძო ბანკიდან და ჩვენთვის ცნობილია, რომ ამ სესხს ფარავენ თანხით, რომელიც მათ დეკლარაციებში მოყვანილ შემოსავლებს აღემატება. ეს ფულის გათეთრებაა, ან პრემიერსაც და მინისტრებსაც აქვთ უფრო მეტი შემოსავალი, ვიდრე დეკლარაციაში მოჰყავთ. ეს თუ ასეა, აშკარად



უკანონობასთან გვაქვს საქმე, – განაცხადა გიორგი კანდელაკმა.

მინისტრების ვალებთან დაკავშირებით კვლევა რამდენიმე კვირის წინ გაასაჯაროვა მონიტორინგის ცენტრმა „მედიატორმა“.

კვლევის თანახმად ირკვევა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრს, მინისტრებსა და დეპუტატებს, ბიძინა ივანიშვილის ბანკიდან სოლიდური კრედიტები აქვთ გამოტანილი, ჯამში კი ეს ციფრი 1.500.000 ლარს აჭარბებს.

მონიტორინგის ცენტრში დაადგინეს, რომ ყოფილი პრემიერის მოვალეთა სიაში პირველ ადგილს მოქმედი პრემიერი იკავებს. ქართუ ბანკიდან გამოტანილი სესხის დასაფარად კი გიორგი კვირიკაშვილმა 2015 წელს მიღებულ შემოსავლზე 4-ჯერ მეტი თანხა გადაიხადა.

ივანიშვილის ვალი აქვს ვიცე-პრემიერსაც, ეკონომიკის მინისტრმა ქართუ ბანკიდან 79.000 დოლარი ისესხა. დიმიტრი ქუმსიშვილმა კრედიტი იმ დროს გამოიტანა, როდესაც მას ანაბრებზე სოლიდური დანაზოგი ერიცხებოდა.

ერთ-ერთ მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში ეკონომიკის მინისტრის სახელზე 20.000 დოლარი ინახება და ქუმსიშვილი ყოველთვიურად საპროცენტო სარგებელსაც იღებს.

ივანიშვილის მოვალეთა შორის არიან საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატები, მინისტრებისგან განსხვავებით, მათ ბანკიდან ნაკლები ფული მისცეს. საშუალოდ 15.000 დოლარი თითოს.

კვლევის გამოქვეყნებიდან მეორე დღეს ნაციონალებმა პროკურატურაში განაცხადი შეიტანეს და ამ ამბის გამოძიება მოითხოვეს. ეტყობა, საქმე წინ არ წავიდა და კანდელაკმა გადაწყვიტა, ამ საქმეში ევროპული სტრუქტურები ჩართოს.

კანდელაკის განცხადებამ პარლამენტის ვიცესპიკერი მანანა კობახიძე გააცხარა. მან ახალგაზრდა კოლეგას დავით კეზერაშვილი გაახსენა, რომელიც ასევე მოხსენიებულია ე.წ. პანამა ფეიფერის საქმეში.

– უხერხულია ასეთი ადამიანისგან დღევანდელ პრემიერ-მინისტრზე საუბარი, როდესაც ჰყავთ კეზერაშვილი, რომელიც პირდაპირ ბმაშია გაურკვეველი წარმომავლობის თანხებთან, – განაცხადა მანანა კობახიძემ.

საქართველოს მოქმედი და ყოფილი პრემიერები ევროპარლამენტში კანდელაკის სულიერმა და პარტიულმა დამ, ჩიორა თაქთაქიშვილმაც შეაშფოთა.

მან ევროპელებს უთხრა, რომ გიორგი კვირიკაშვილი, რომელიც რამდენიმე დღეში მათ წინაშე წარდგება, მხოლოდ ივანიშვილის ინტერესების გამტარებელია.

– საქართველოს პრემიერი აქ წარმოადგენს არა ქართველი ხალხის ინტერესებს, არამედ მისი ყოფილი უფროსის, ბიძინა ივანიშვილის ინტერესებს. შესაბამისად, ძალიან ძნელია, ჩვენ რაიმე იმედი გვქონდეს კონკრეტული ქვეყნისთვის სასიკეთო შედეგების. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მან არა მხოლოდ სიტყვებით დააფიქსიროს მზაობა, იყოს ერთგული ევროპული ღირებულებების, დემოკრატიის, ადამიანის უფლებების და კანონის უზენაესობის, არამედ დაანახოს ევროსაბჭოს, ევროკავშირს კონკრეტული მოქმედებები, რომლებიც უნდა განსხვავდებოდეს ბიძინა ივანიშვილის ქმედებებისგან, – აღნიშნა ჩიორა თაქთაქიშვილმა.

ყოფილი და მოქმედი პრემიერების გალანძღვის გამო მეოცნებეებმა თაქთაქიშვილი და კანდელაკი 41-გზის მაინც შეაჩვენეს.

ნაკლებად რადიკალური იყო კოალიციას ფორმალურად შემორჩენილი რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელი ლევან ბერძენიშვილი. მან გიორგი კანდელაკს მადლობაც კი გადაუხადა, ოღონდ არა „ოცნების“ მამების ლანძღვისთვის.

კანდელაკმა ბერძენიშვილის მადლობა მის მიერ დასმული კითხვის გამო დაიმსახურა.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „ბოკერია, მაჭავარიანი და გაბაშვილი ერთმანეთს დაერივნენ“

დასაწყისი მე-5 გვერდზე

რძოლველად არაფერს დათმობენ და ათას პროვოკაციას გამოაგდებენ, მაგრამ აცრილები ვართ. ფარული ჩანაწერები რატომ გამოყარეს? არეულობა უნდოდათ. თან რა უტიფრები არიან, თავიანთ გადაღებულ კადრებს ჩვენ გვაბრალებენ. მაგათი შლეგი და გადარეული ლიდერი გამოვიდა და ცინიკურად განაცხადა, ჩემი პრეზიდენტობის დროს მსგავსი არაფერი გასულაო.

***– იმ 9 წლის მანძილზე მართლა არ გავრცელებულა ასეთი კადრები.***



– ჩვენთვის არ უჩვენებიათ, თორემ თავად სააკაშვილი უყურებდა. რა უნამუსობაა, თავიანთ მეგობრებს უყენებდნენ საძინებლებში ვიდეოთვალს და ულებდნენ ინტიმურ გარემოში. მერე ამ კადრებს უყურებდნენ და კაიფობდნენ. ფროიდი ამბობდა, რომ ადამიანს რაც აკლია, ის ელანდებაო. ამათ სექსები არ ჰქონდათ და სხვების სექსებს უყურებდნენ.

***– მარტო სექსების საყურებლად იღებდნენ ამ კადრებს?***

– პოლიტიკურ ოპონენტებზე იმიტომ იღებდნენ, რომ დაეშანტაჟებინათ. ნუგზარ წიკლაურს და აკო მინაშვილს რა გადაღება უნდა, ისედაც მოსიარულე კომპრომატები არიან.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ კადრების გავრცელებაზე გამოძიება წინ მიდის. იმასაც კარგად ვაცნობიერებ, რომ ეს არის ნაღმი, რომელიც, შესაძლოა, 20-30 წლის შემდეგ აფეთქდეს. მივმართავ ხელისუფლებაში მყოფ პირებს, თუ ვინმეზე აქვთ მსგავსი ტიპის ჩანაწერები, ჩუმად გაიპარონ ხელისუფლებიდან. ამით არც შანტაჟის მსხვერპლი გახდებიან და სკანდალებსაც აიცილებენ თავიდან.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# გიორგი ოთხმეზური: „ლადო პაპავას გადაყენება ნაციონალების ინსპირირებული იყო“

## „რამდენი საშიმშილოდ დაჯდება, იმდენჯერ რექტორი რომ გადადგეს, ასე შორს ვერ წავალთ“

ნათია ხურცილავა

**20 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი 6 თვის ვადით აირჩევს. რექტორის არჩევნები კი აგვისტოში ჩატარდება.**

ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გიორგი ოთხმეზური „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებზე საუბრობს.



***— ბატონო გიორგი, პრემიერ-მინისტრმა, რომელიც უნივერსიტეტში იყო მისული, სტუდენტებს პირობა მისცა, რომ განათლების ახალ კანონპროექტზე დაიწყება მუშაობა. რამდენად რეალურია განათლების სისტემის რეფორმა?***

— არსებობს გია დვალის მიერ შექმნილი პროექტი, თავის დროზე სწორედ დვალის მიერ შექმნილ ამ კონცეფციის დამკვიდრებაზე იყო საუბარი. ამ კონცეფციასთან დაკავშირებით არსებობს ლადო პაპავას წერილი. ამ წერილში ბატონი ლადო საუბრობს იმის შესახებ, რომ ეს პროექტი განათლების ამერიკულ მოდელს ემყარება და რომ ჩვენთვის უფრო მისაღები ევროპული მოდელია. ვფიქრობ, რომ შეჯერება უნდა მოხდეს და ჩვენთვის მისაღები კონცეფცია უნდა შევქმნათ, მაგრამ ეს არ არის ერთი და ორი დღის საქმე, ეს გარკვეულ დროს მოითხოვს.

***— დაახლოებით რა პერიოდზე შეიძლება იყოს საუბარი?***

— რამდენი თვე მაინც დასჭირდება, რომ სრულყოფილი პროექტი იყოს შემუშავებული. თანაც აუცილებელია პროფესიონალები იყვნენ ჩართულები, ამ საქმის ნამდვილი სპეციალისტები, მეცნიერები,

გიორგი ოთხმეზურის აზრით, უნივერსიტეტებში მიუღებელი პროცესები ვითარდება:

— უნივერსიტეტის კარის აჭედვა ჩემთვის მიუღებელია, ასევე მიუღებელია თანამშრომლების საშიმშილოდ დაჯდომა. ოთხი თანამშრომელი შიმშილობს, ერთი, რამდენადაც ვიცი, თანამშრომელი არც არის. ასევე მიუღებელია რექტორის გადადგომა. რამდენი საშიმშილოდ დაჯდება, იმდენჯერ რექტორი რომ გადადგეს, ასე შორს ვერ წავალთ. ყველა პრობლემა აკადემიურად უნდა გადაწყდეს, მოლაპარაკებების გზით.

***— ნება აქვს დღეს ხელისუფლებას, რომ განათლების სისტემის რეფორმა განახორციელოს?***

— ვერ გეტყვით. მე ვნახე, რომ პრემიერ-მინისტრი მოვიდა და სტუდენტებს პირისპირ დაელაპარაკა, ეს კარგი ფაქტი იყო. პრემიერმა მოახერხა, სტუდენტები დაერწმუნებინა, რომ მათი მოთხოვნები დაკმაყოფილდება. მან პროცესები განმუხტა. მე იმედი მაქვს, რომ აზრების გაცვლა მოხდება და შეჯერებულ პოზიციებამდე მივალთ.

***— ლადო პაპავა ზეწოლის ფაქტზე აკეთებს აქცენტს. ასევე საუბრობს იმაზე, რომ მთავარი მიზანი იყო მისი გადაყენება. თქვენ როგორ აფასებთ უნივერსიტეტში განვითარებულ მოვლენებს, პროცესი მართული იყო?***

— მე მგონია, რომ ეს ყველაფერი ნაციონალური მოძრაობის მიერ იყო ინსპირირებული. მერე რა მოხდა, ვინ ჩაერთო და როგორ განვითარდა პროცესები, ამ დეტალებზე ვერაფერს გეტყვით.

***— ნაციონალური მოძრაობა ხომ არ არის ხელისუფლებაში.***

— ხელისუფლებაში არ არიან, მაგრამ კოჰაბიტაციის შედეგად ხელისუფლებაში დარჩნენ ნაციონალური მოძრაობის აპოლოგეტები. მთელ ქვეყანაში ხდება მცდელობა, ჩაგონება იმის, რომ მათ გარეშე ყველაფერი ცუდად არის, რომ საქმე ვერ კეთდება, რომ ქვეყანა იქცევა. ამის ტირაჟირება ხდება საზღვარგარეთაც, რომ ქვეყანაში გვყავს თითქოს პოლიტპატიმრები, რომ თითქოს არ გვინდა ევროატლანტიკური მიმართულებით სვლა, რომ ქვეყნის საგარეო ვექტორი საფრთხეშია და ა.შ. ეს არის ის დემაგოგია, რომლითაც ნაციონალები დღესაც დაკავებული არიან.

# ალეკო ელისაშვილი: „ბოჭორიშვილის ქუჩაზე უკანონო მშენებლობის უკან დავით ნარმანიას ძმა ირაკლი ნარმანია დგას“



— ანგია ბოჭორიშვილის ქუჩაზე უკანონო მშენებლობის უკან თბილისის მერის დავით ნარმანიას ძმა ირაკლი ნარმანია დგას, — ამის შესახებ ალეკო ელისაშვილმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

**ალეკო ელისაშვილი:**

— ბოლო პერიოდში ყველა უბანში გამაოგნებელი სამშენებლო ნებართვები გაიცემა და უკვე აღარ ვსაუბრობ იმაზე, რომ ინფრასტრუქტურული პრობლემები ექმნება ქალაქს და ასევე იერსახე მახინჯდება.

უკვე ირღვევა ადამიანების უფლებები, კონკრეტულად ის, რომ ადამიანს უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლება აქვს.

ალეკო ელისაშვილის თქმით, მსგავსი ფაქტი დაფიქსირდა ანგია ბოჭორიშვილის ქ. №15-ში, სადაც ორსართულიანი სახლის გვერდით 10-სართულიანი კორპუსი შენდება. მისივე თქმით, აქვე დაგეგმილია კიდევ ერთი კორპუსის მშენებლობა. მშენებლობა მიმდინარეობს გეოლოგიური კვლევისა და მომიჯნავე სახლების ექსპერტიზის გარეშე. ალეკო ელისაშვილის ინფორმაციით, სახლებს შპს „ბალავარი“ აშენებს, რომელსაც არაკანონიერად ირაკლი ნარმანია მფარველობს.

— სწორედ მისი ძალისხმევით მოხდა უკანონო მშენებლობებზე ნებართვის გაცემა, კოეფიციენტის გაზრდა და სასამართლოში მიმდინარე პროცესის მიუხედავად გამალებული მშენებლობა მიმდინარეობს, — განაცხადა ალეკო ელისაშვილმა.

ბოჭორიშვილის ქუჩის მცხოვრებლების განცხადებით, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დადგენილების მიხედვით მშენებლობა შეჩერდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მშენებლობა გრძელდება.

— ზედამხედველობამ „ბალავარის“ მშენებლობა გააჩერა, მაგრამ ქალაქის მერმა ზედამხედველობის დადგენილება გააუქმა და მშენებლობის ნებართვა მისცა, — განაცხადა ბოჭორიშვილის ქუჩის მცხოვრებმა მზია თეზელიშვილმა.

ალეკო ელისაშვილის ინფორმაციით, ირაკლი ნარმანია გარკვეული პერიოდის განმავლობაში შპს „ბალავარის“ იურისტი იყო.

**ინტერპრესნიუსი**

# პარტიებს შორის ყველაზე მეტი შემოსავალი ნაციონალურმა მოძრაობამ მიიღო



პოლიტიკურმა პარტიებმა 2015 წლის განმავლობაში ჯამურად 12.407.707 ლარის შემოსავალი მიიღეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურში განუცხადეს, აღნიშნული თანხიდან ყველაზე მეტი შემოსავალი – 3.251.781 ლარი ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე მოდის.

მეორე ადგილზეა „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, რომლის მიერ 2015 წელს მიღებულმა საბიუჯეტო და კერძო დაფინანსებამ 1.426.227 ლარი შეადგინა.

მილიონ ლარზე მეტი შემოსავალი ირიცხება „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობისა“ და „თავისუფალი დემოკრატების“ ანგარიშებზე, რომლებმაც გასული წლის განმავლობაში, შესაბამისად, 1.470.484 ლარი და 1.014.739 ლარი მიიღეს.

რაც შეეხება სხვა პარტიების შემოსავლებს, მათი მაჩვენებელი ასე გამოიყურება: „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ – 863.086 ლარი, „რესპუბლიკური პარტია“ – 757.437 ლარი, „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ – 741.352 ლარი, „კონსერვატიული პარტია“ – 722.672 ლარი, „ეროვნული ფორუმი“ – 721.352 ლარი, „ქრისტიან-კონსერვატიული პარტია“ – 660.722 ლარი, „ლეიბორისტული პარტია“ – 610.020 ლარი, „ევროპელი დემოკრატები“ – 19.000 ლარი „დევნილთა პარტია“ – 56.771 ლარი, „თავისუფალი საქართველო“ – 35.032 ლარი, „პლატფორმა ახალი პოლიტიკური ცენტრისთვის“ – 30.000 ლარი, „ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია“ – 14.120 ლარი, „მემარცხენე ალიანსი“ – 2.255 ლარი, „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია“ – 2.936 ლარი, „განახლებული საქართველოსთვის“ – 2.875 ლარი, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“ – 1.300 ლარი, „ხალხის პარტია“ – 1.135 ლარი, „რეფორმატორები“ – 1.119 ლარი, „ქართული დასი“ – 861 ლარი, „საქართველოს მშვიდობისთვის“ – 350 ლარი და „უფალია ჩვენი სიმართლე“ – 80 ლარი.

2015 წელს შემოსავალი არ მიუღია „საქართველოს გზას“, „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“, „საქართველოს მწვანეთა პარტიას“, „ახალ მემარჯვენეებსა“ და „მშრომელთა სოციალისტურ პარტიას“.

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური პარტიების მიერ 2015 წლის განმავლობაში ჯამურად მიღებული 12.407.707 ლარის ოდენობის შემოსავლიდან, 10.678.948 ლარი ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებაა. უფრო კონკრეტულად, „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მიერ მიღებული შემოსავლიდან 780 944 ლარს საბიუჯეტო შემოსავალი წარმოადგენდა, 78.908 ლარი – მიზნობრივ დაფინანსებას. ნაციონალური მოძრაობის მიერ მიღებული შემოსავლიდან კი საბიუჯეტო შემოსავალი 2.326.351 ლარი იყო, მიზნობრივი დაფინანსება – 532.633 ლარი. სხვა პარტიების მაჩვენებელი, რომლებიც საბიუჯეტო შემოსავალს იღებენ, ასე გამოიყურება: „ქრისტიან-კონსერვატიული პარტია“: საბიუჯეტო შემოსავალი 499.019 ლარი, მიზნობრივი დაფინანსება – 177.543 ლარი, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“: საბიუჯეტო შემოსავალი – 997.032 ლარი, მიზნობრივი დაფინანსება – 473.452 ლარი, „პატრიოტთა ალიანსი“: საბიუჯეტო შემოსავალი – 409.562 ლარი, მიზნობრივი დაფინანსება – 236.724 ლარი, „თავისუფალი დემოკრატები“, „კონსერვატიული პარტია“, „ეროვნული ფორუმი“, „რესპუბლიკური პარტია“ და „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“: საბიუჯეტო შემოსავალი – 642.444 – 642.444 ლარი, მიზნობრივი დაფინანსება კი – 78.908 ლარი. საბიუჯეტო შემოსავლის სახით 373.296 ლარი, ხოლო მიზნობრივი დაფინანსების სახით 236.724 ლარი მიიღო „ლეიბორისტულმა პარტიამ“.

**ინტერპრესნიუსი**

# ბიძინა კუჭავას ოჯახი არჩილ თალაკვაძისგან 300 ათას დოლარს ითხოვს

## მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის



„საქართველოს ხმის“ დამფუძნებლის, გარდაცვლილი ბიძინა კუჭავას ოჯახი შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძისგან მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის 300 ათას დოლარს ითხოვს.

აღნიშნული მოთხოვნით კუჭავას ოჯახმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიაში სარჩელი შეიტანა.

როგორც ინტერპრესნიუსს კუჭავას ოჯახის ადვოკატმა ნათია კორკოტაძემ განუცხადა, სასარჩელო მოთხოვნაა, რომ თალაკვაძემ უარყოს კუჭავასადმი გაკეთებული პატივისა და ღირსების შემლახველი განცხადებები, ასევე მორალური ზიანი ოჯახს 300 ათასი დოლარით აუნაზღაუროს.

ნათია კორკოტაძის განცხადებით, მას შემდეგ, რაც პროკურორი პაატა ქირია გარდაცვლილი იპოვეს, მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძემ 10 დღის განმავლობაში ბიძინა კუჭავას მიმართ არაერთი პატივისა და ღირსების შემლახველი განცხადება გააკეთა და ოჯახი სწორედ აღნიშნულის უარყოფას მოითხოვს.

ნათია კორკოტაძის თქმით, არ იცის, როდის განიხილავს საქალაქო სასამართლო მის სარჩელს.

რაც შეეხება ბიძინა კუჭავას თვითმკვლელობისა და პაატა ქირიას მკვლელობის საქმეებზე გამოძიების მიმდინარეობას, ადვოკატმა განმარტა, რომ უკვე მეოთხე თვე დაიწყო, რაც ორი გამოძიება მიმდინარეობს, თუმცა სიახლეების შესახებ მისთვის უცნობია.

პროკურორ პაატა ქირიას ცხედარი მიმდინარე წლის 16 იანვარს ქავთარაძეზე ერთ-ერთ ბინაში აღმოაჩინეს.

გამოძიების ინფორმაციით, ბიძინა კუჭავამ მეორე დღეს იუსტიციის სახლთან დავით პოპოვის მანქანაში ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის შედეგად თავი მოიკლა. თუმცა გარდაცვლილის ოჯახს თვითმკვლელობის ვერსიის არ სჯერა.

გამოძიების ინფორმაციით, პროკურორის მკვლელობა სწორედ ბიძინა კუჭავას უკავშირდება.

# გიორგი კანდელაკმა სტრასბურში მთავრობა ჩაუშვა

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ევროსტრუქტურებში ნაციონალების დამრტყმელმა ძალამ ევროკომისიის პრეზიდენტს ვიზალიბერალიზაციის თაობაზე დაუსვა კითხვა.

პრეზიდენტის პასუხი მეტად საამო იყო. მან განაცხადა, რომ საქართველოს უვიზო მიმოსვლა აუცილებლად ექნება.

— ჟან-კლოდ იუნკერის განცხადება იყო ძალიან ნათელი, გარკვეული. კარგია, რომ გიორგი კანდელაკმა დაუსვა პირდაპირი შეკითხვა. შეკითხვის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ ხომ არ დაევალება საქართველოს რაიმე დამატებით და ხომ არ დაისჯება ქართველი ხალხი მთავრობის უსაქციელობის გამო, რაზეც მან ნათელი პასუხი მიიღო, რომ საქართველოს არავითარი ახალი დავალება არ მიეცემა, საქართველოს მთავრობამ გაართვა თავი ამოცანას და საქართველო მიიღებს ვიზალიბერალიზაციას.

ეს ყველანაირად დადებითი პასუხია. გარკვეული გაგებით მადლობა კანდელაკსაც მინდა ვუთხრა, იმიტომ, რომ ათქმევინა ბოლოს და ბოლოს იუნკერს, რომ ის საფრთხე, რომელიც თითქოს შეიქმნა საქართველოს ირგვლივ, არ არსებობს, — განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა.

# მანუჩარ მაჩაიძე: „რუსეთის მომხრეობას საქართველოს მოძულეები გვაბრალებენ“

## „სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა ცუდად დაამთავრებენ“



მარიამ მჭედლიშვილი

**რამდენიმე დღის წინ პრემიერ-მინისტრმა ტელემაყურებლების შეკითხვებზე პასუხების გაცემისას განაცხადა, რომ პარტია „ქართული ოცნება" არ აპირებს მომავალ პარლამენტში სტრატეგიულ თანამშრომლობას ნინო ბურჯანაძის პარტიასა და პატრიოტთა ალიანსთან. პატრიოტთა ალიანსის პოლიტსაბჭოს წევრი, თბილისის საკრებულოს დეპუტატი მანუჩარ მაჩაიძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში ამ განცხადებას გაუგებარს უწოდებს.**

**მანუჩარ მაჩაიძე:**

– ნამდვილად არ ვიცი, რატომ გააკეთა პრემიერ-მინისტრმა ასეთი განცხადება. საქართველოს პატრიოტთა ალიანსს საქართველოსთვის კარგის მეტი არაფერი გაუკეთებია. სააკაშვილის რეჟიმს ვებრძოდით. ახალი პარტიის კვალობაზე წარმატებულებიც ვართ. ჩვენთვის უმთავრესია საქართველო და მისი ინტერესები. არ ვითანამშრობლებთო, ეს გაუგებარი განცხადებაა. ნაციონალურ მოძრაობასთან თუ შეიძლება პარლამენტში თანამშრომლობა, ჩვენთან რა პრეტენზიები აქვთ?

***– თქვენ პრორუსულ ძალად ითვლებით.***

– ეს მოგონილი და თითიდან გამოწოვილი ბრალდებაა. ჩვენ რუსეთში არ დავდივართ. არ ვატარებთ რუსეთის ინტერესებს. ვაღიარებთ, რომ რუსეთს ოკუპირებული აქვს საქართველოს ნაწილი. ამ სახელმწიფოს წარსულშიც არაერთი ცოდვა მიუძღვის საქართველოს წინაშე. რუსეთს უნდოდა ქართველების ასიმილაცია. ყველაფერი ეს არ ნიშნავს, რომ რუსი ერია ცუდი. არასწორად იქცეოდნენ მისი მმართველები. ისტორიაში ისეთი ეპიზოდებიც არის, როცა რუსეთს დადებითი როლიც შეუსრულებია, როცა საქართველოს სხვა იმპერიები უტევდნენ. ჩვენ მიმართ ასეთი ბრალდებები პირველად ნაციონალური მოძრაობიდან გაისმა. საქართველოსა და ქართველების მოძულე პარტია ჩვენ გვაბრალებს რუსეთუმეობას.

***– რატომაა ეს პარტია საქართველოს მოძულე?***

– იმიტომ, რომ ებრძოდა საქართველოს და ქართველ ხალხს. ნაციონალების ლიდერებს უნდოდათ ქართველების ცნობიერების მთლიანად შეცვლა, ახალი ერის გამოყვანა. ამას ემსახურებოდა ქვეყნის სინგაპურიზაციის პროექტიც. თავისი მოქმედებებით ნაციონალურმა მოძრაობამ რუსეთის პოზიციები გააძლიერა. სააკაშვილი პრეზიდენტად სწორედ რუსეთმა დასვა. შემდეგ, სავარაუდოდ, ის ორმაგი აგენტი გახდა. ვის პრორუსულობაზე ლაპარაკობენ ნაციონალები! მათი დრო წავიდა.

***– ენდიაის ბოლონდროინდელი კვლევის თანახმად, ნაციონალური მოძრაობის რეიტინგი თითქმის გაუტოლდა „ქართული ოცნების“ რეიტინგს.***

– ეს ყალბი მონაცემებია. ენდიაის უნდობლობას უცხადებს არა მარტო პოლიტიკური სპექტრის დიდი ნაწილი, არამედ, მოსახლეობა. ამ შედეგების გამოქვეყნებით ვიღაცას უნდა, რომ საპარლამენტო არჩევნები მსგავსი შედეგებით დასრულდეს. ამისთვის ამზადებენ საზოგადოებას. ნაციონალური მოძრაობა, რომელიც შეგნებულად ებრძოდა ქართველ ერს და ცვლიდა დემოგრაფიულ სურათს, მხარდაჭერას ვერ მიიღებს. აღარაფერს ვამბობ სააკაშვილის სისტემის მიერ ჩადენილ არაადამიანურ დანაშაულებზე. სააკაშვილი ცუდად დაამთავრებს.

***– ჯერჯერობით, ნაცმოძრაობა აქტიურია და ძლიერდება.***

– ეს არ არის გაძლიერება. ნაციონალური მოძრაობის ასეთი აქტიურობა და გადიდგულება „ქართული ოცნების“ ბრალია. ხელისუფლებას თავიდანვე უნდა მიეცა შეფასება სააკაშვილის რეჟიმის მოქმედებებისთვის, სამართლიანობა უნდა აღდგენილიყო. ეს არ მოხდა. ამიტომ გადმოდიან შეტევაზე ნაციონალები და სხვებს უგონებენ რუსეთუმეობას.

***– თქვენი პარტია რამდენიმე თვეა, აკრიტიკებს რესპუბლიკელ მინისტრებს. ახლა რესპუბლიკელები გაემიჯნენ „ქართულ ოცნებას“, მაგრამ თანამდებობებს ინარჩუნებენ..***

– რესპუბლიკელ მინისტრებს უსაფუძვლოდ არ ვაკრიტიკებდით. მათთან კონკრეტული დასაბუთებული პრეტენზიები გვაქვს. მათ შორის, საგარეჯოს არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით. რესპუბლიკური პარტია ყოველ-

### „რესპუბლიკელები და ნაციონალები ყოველთვის ეხმარებოდნენ ერთმანეთს“

თვის გარიგებული იყო ნაციონალურ მოძრაობასთან. ისინი ჩუმ-ჩუმად თუ ღიად ყოველთვის ეხმარებოდნენ ერთმანეთს. ეს უკრაინულმა ვიკილიქსმაც დაადასტურა.

რესპუბლიკელები ნაციონალებს საქართველოსა და ქართველების სიძულვილშიც არ ჩამოუვარდებიან. ორივე პარტია ცდილობს უცხოეთში დაამტკიცოს, რომ ქართველები გაუნათლებლები და ზარმაცები არიან. რესპუბლიკელი მინისტრები არაფრით დატოვებენ თანამდებობებს ბოლო მომენტამდე. ისინი პოსტებს ადვილად არ შეელევიან.

***– არ არის გამორიცხული, რომ თქვენმა პარტიამ ისევ დაიწყოს შიმშილობის აქცია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მოთხოვნით?***

– ჯერჯერობით, ვიცდით. ვნახოთ, რას იზამს ხელისუფლება. საარჩევნო საკითხებს სხვა პარტიებიც აყენებენ. ჩვენი მოთხოვნა სამართლიანი და მარტივია – ყველა სუბიექტს უნდა ჰქონდეს მეტ-ნაკლებად თანაბარი პირობები. ზოგიერთი პარტია არ უნდა იყოს მეტისმეტად პრივილეგირებული, ზოგი კი – დაჩაგრული.

# თინა ხიდაშელი: „ვარშავის სამიტზე წევრობას ვითხოვთ და არა მაპს“



## თორნიკე შარაშენიძე: „ვერ გავიგე, ვისზეა გათვლილი ეს განცხადება – სოლოლაკზე, ევროპაზე თუ შიდა საზოგადოებაზე“

საქართველო ვარშავის სამიტზე ითხოვს წევრობას.

ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა გუშინ, 19 აპრილს, ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი თქმით, საქართველო ითხოვს წევრობას და, შესაბამისად, ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელსაც საქართველო წამოიღებს ვარშავიდან, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება დამაკმაყოფილებელი, თუ ის თვისობრივად შეცვლის ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას.

ხიდაშელი სამიტთან დაკავშირებით პოზიტიურად არის განწყობილი.

– გავხდებით თუ არა ნატოს წევრი, მივიღებთ თუ არა მოწვევას, ეს გადაწყდება ნატოს წევრი ქვეყნების ერთობლივი გადაწყვეტილებით. ჩემი მთავარი ამოცანა ორმაგია: 1. საქართველო რაც შეიძლება სწრაფად გახდეს ნატოს წევრი; 2. ნატოს წევრობით ან მის გარეშე საქართველოს თავდაცვისუნარიანობა გამყარდეს იმგვარად, რომ უფრო მეტი დამაჯარებლობა შეიძინოს ყველა ჩვენმა განაცხადმა, ყველა ჩვენმა პროექტმა და ქვეყნის უსაფრთხოებამ, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს ქვეყნის კეთილდღეობაზე, – განაცხადა ხიდაშელმა.

მისივე თქმით, წინა კვირას ბრატისლავაში იმყოფებოდა, სადაც დღეში 14 შეხვედრას მართავდა იმის პარალელურად, რომ კონფერენცია მიდიოდა.

– ვმართავდი იმიტომ, რომ დოკუმენტი, რომელიც თავდაცვის სამინისტრომ მოამზადა 2 თვის წინ, რომელიც რამდენიმე პუნქტიანია და ძალიან კონკრეტულ შედეგებზე და პროდუქტებზეა აწყობილი, რაც გვინდა ვარშავიდან მივიღოთ, გახდეს რეალიზებადი. მას აქვს მხარდაჭერა, თუმცა რამდენად სრულფასოვნად იქნება მიღებული, ამ წუთას არ შემიძლია თქმა, – განაცხადა ხიდაშელმა.

* * *

თინა ხიდაშელის განცხადება გააკრიტიკა ექსპერტმა თორნიკე შარაშენიძემ. მისი თქმით, ყველა დოკუმენტში დაფიქსირებულია, რომ მაპი რჩება გაწევრიანებისთვის აუცილებელ ეტაპად.



– ეს ადამიანი რომ დაინიშნა თავდაცვის მინისტრად, ბრიუსელში მაპი მოითხოვა ულტიმატუმის ფორმით. მერე, როცა მიხვდა, რომ არ იყო სწორი, აცხადებდა, მაპი არასდროს მოგვითხოვიაო. ახლა ითხოვს წევრობას პირდაპირ. მოდი, დავსერიოზულდეთ. ლოგიკურად, მაპის მიღება უფრო ადვილია, ვიდრე წევრობა. ასეთი განცხადების გაკეთება, რბილად რომ ვთქვა, არასწორი იყო. გარდა ამისა, ყველა დოკუმენტში დაფიქსირებულია, რომ მაპი რჩება გაწევრიანებისთვის აუცილებელ ეტაპად, – განაცხადა შარაშენიძემ.

ექსპერტი მიიჩნევს, რომ ხიდაშელის ამ განცხადებებს ნატოს ქვეყნები არასერიოზულად მიიღებენ.

– სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ ჩაითვლება, რომ ვიღაც მაღალი თანამდებობის პირები აკეთებენ არასერიოზულ განცხადებებს. ვერ გეტყვით, რას უკავშირდება მისი განცხადება. ზოგიერთების ლოგიკას დიდი ხანია, ვერ ვხვდები. ვერ გავიგე, ვისზეა გათვლილი ეს განცხადება – სოლოლაკზე, ევროპაზე თუ შიდა საზოგადოებაზე, – განაცხადა შარაშენიძემ.

* * *

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე არჩილ ყარაულაშვილის განცხადებით, მაპი საქართველოს ნატოში გაწევრიანებისთვის ერთგვარ დაბრკოლებადაც კი იქცა.

ამის შესახებ ყარაულაშვილმა ნატოს სამოკავშირეო ოფისში მიმდინარე კონფერენციაზე განაცხადა.

ყარაულაშვილის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მაპი ამ ეტაპზე არ სჭირდება, ალბათ შეუძლებელია, დღის წესრიგიდან ის მოიხსნას.

– მაპი არის ტექნიკური ინსტრუმენტი ნატოში გაწევრიანების. არცერთი ქვეყანა ამის გარეშე ნატოში არ გაწევრიანებულა. ჩვენ გვაქვს სხვადასხვა პროგრამა, გვაქვს სასწავლო პროგრამები, ასევე გვაქვს ნატო-საქართველოს კომისია, სხვა მრავალი ინსტრუმენტი და გვაქვს იმაზე მეტი ინსტრუმენტი, ვიდრე აქვთ მაპის მქონე ქვეყნებს, – განაცხადა არჩილ ყარაულაშვილმა.

მან აღნიშნა, რომ მაპი არის ნატოში წევრობისთვის დახმარების ინსტრუმენტი.

– ის ჩვენს შემთხვევაში ერთგვარ დაბრკოლებადაც კი იქცა. ამ ჭრილში, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ყველა ინსტრუმენტი უკვე გვაქვს, შესაბამისად, მაპი არ გვჭირდება, მაგრამ, ალბათ, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ეს საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნას, – განაცხადა არჩილ ყარაულაშვილმა.

ამავე კონფერენციაზე სიტყვით საქართველოში ნატოს სამოკავშირეო ოფისის ხელმძღვანელი უილიამ ლაჰიუც გამოვიდა.

– მაპი წინა ხელისუფლების დროს პოლიტიზებულ საკითხად იქცა, რის გამოც ნატოს წევრ 28 ქვეყანას საქართველოსთვის მაპის მინიჭებაზე კონსენსუსის მიღწევა გაუჭირდება, – განაცხადა მან.

ლაჰიუს განმარტებით, ნატოში ინტეგრაციის მთავარი ინსტრუმენტი და ასპექტი საქართველოში რეფორმების გატარებაა, რაც წარმატებით მიმდინარეობს.

– ბუქარესტის სამიტიდან გამომდინარე, სულ ისმის, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი, თუმცა მთავარი კითხვა აქ არის, როდის? ეს გახლავთ თემა პოლიტიკის და ტექნიკური საკითხების კომბინაციისა, რომელიც ნატოს მოკავშირეებს აწუხებთ, – განაცხადა ლაჰიუმ.

მისი თქმით, მოკავშირეები ყურადღებით ადევნებენ თვალყურს რეფორმების უწყვეტობას. მათ აინტერესებთ საქართველოს პოზიცია.

– ჩვენ ასევე ყველაზე მეტად ვაკვირდებით უსაფრთხოების პოზიციებს. რა თქმა უნდა, ნატოს წევრობა საბოლოოდ უზრუნველყოფს საქართველოს უსაფრთხოებას მხოლოდ ერთი გზით – თავდასხმის შემთხვევაში ყველა სხვა წევრი მხარდასაჭერად უნდა გამოეშუროს, – აღნიშნა უილიამ ლაჰიუმ.



### უილიამ ლაჰიუ: „საქართველო უნიკალური შემთხვევაა ნატოს ისტორიაში“

მისი აზრით, საქართველო უნიკალური შემთხვევაა ნატოს ისტორიაში, ვინაიდან ყველა წევრი ქვეყანა შეთანხმდა, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი და ეს უცნაური შემთხვევაა.

– ნატო პარტნიორთა შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მხარში უდგას. ჩვენ ერთად გავივლით ინტეგრაციის გზას, – აღნიშნა ლაჰიუმ.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

**მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6**

**☎ 577-29-37-41, 247-58-83**

# ბადრი ჯაფარიძე: „ბანკი, რომელიც ქონების დაგირავებაზეა ორიენტირებული, ვერ განვითარდება“

## „სესხის გადახდა კულტურულობის მანიშნებელია, რადგან გამოხატავს შენს პასუხისმგებლობას, დაფარო აღებული სესხი“

### ინტერვიუ თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბადრი ჯაფარიძესთან

***– საბანკო სექტორისთვის ბოლო პერიოდის ყველაზე სერიოზული გამოწვევა ლარის კურსის ვარდნა იყო. რა გავლენა იქონია ამან თქვენს ბანკზე და ზოგადად ქართულ საბანკო სისტემაზე?***

– თუ ლარის კურსის დაცემა შეიცავს რისკებს მსესხებლებისთვის, ის შეიცავს რისკებს ბანკისთვისაც. მეორე მხრივ, ბანკს კაპიტალი აქვს ლარში, ხოლო ჩვენს შემთხვევაში აქციები ივაჭრება დოლარში და ინვესტორებს ინვესტიცია ჩადებული აქვთ დოლარში. შესაბამისად, როდესაც ხდება კურსის ცვლილება, კაპიტალი დოლარის განზომილებაში მცირდება, რაც თითქმის პროპორციულად აისახება საფონდო ბირჟაზე განთავსებული აქციების ფასზეც და პირველ რიგში აზარალებს ბანკის ინვესტორებს.

***– არსებობს მოსაზრება, რომ ლარის გაუფასურების პერიოდში ქართულმა ბანკებმა მილიონობით მოგება მიიღეს. მაგალითად, 2014 წლის დეკემბერში, როდესაც ლარი უფასურდებოდა, ბანკების წმინდა მოგება 400%-ით გაიზარდა. არაერთი ექსპერტი ამ ფაქტს აფასებდა მოსახლეობის გაღარიბების ხარჯზე ბანკების გამდიდრებად. თქვენ როგორ შეაფასებდით ამ სტატისტიკას?***

– თუ ლარში ბანკის შემოსავალი გაიზარდა, ეს არ ნიშნავს, რომ ბანკის მოგება გაიზარდა. ლარის კურსის ნებისმიერი მკვეთრი ცვლილება საფრთხეს უქმნის საკრედიტო პორტფელის ხარისხს, ეს კი ბანკის საქმიანობის და მომგებიანობის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია. ამასთან, მოზიდული სახსრები დოლარში გვაქვს და მათი მომსახურებაც დოლარში გვიწევს.

ისმის პრეტენზიები, რატომ აქვს ბანკებს სასესხო პორტფელის ძირითადი ნაწილი დოლარში. ეს იმის გამო არ ხდება, რომ ბანკს სურს, სესხები დოლარში გასცეს. ბანკის ვალდებულებები დოლარშია. ვალდებულებები კი შედგება როგორც დეპოზიტებისგან, ისე მოზიდული სახსრებისგან. მოზიდული სახსრების წყაროა საფინანსო ინსტიტუტები და კაპიტალის ბაზრები და მათ ვიღებთ დოლარსა და ევროში.

ვადიანი დეპოზიტების 95% ასევე დოლარშია განთავსებული.

***– ლარის კურსის დაცემის პერიოდში ბანკებმა რესტრუქტურიზაცია გამოაცხადეს. თუმცა ამ შემთხვევაშიც კრიტიკის ობიექტები გახდნენ, რადგან აღმოჩნდა, რომ, საბოლოო ჯამში, მსესხებელს, რესტრუქტურიზაციის შემთხვევაში, რეალურად უძვირდებოდა სესხი. ეს საკრედიტო ტვირთის რეალურ შემსუბუქებად მიგაჩნიათ?***

– როდესაც რესტრუქტურიზაცია ხორციელდება კარგ მსესხებლებთან, ის ემსახურება სასესხო ტვირთის არა დამძიმებას, არამედ შემსუბუქებას. იყო შემთხვევები, როდესაც კარგი მსესხებელი მოდიოდა თხოვნით, მომხდარიყო მისი სესხის ვადის გაგრძელება, რათა ლარში ყოველთვიური გადასახადი არ გაზრდოდა. როგორც წესი, ჩვენ ამას ვაკეთებთ.

რესტრუქტურიზაციის ამოცანა არის ის, რომ მსესხებელს არ გაეზარდოს ყოველთვიური გადასახადი ლარში. მე მგონი, ეს გაუარესება არ არის.

როდესაც ლარმა დაცემა დაიწყო, კლიენტებს ვთავაზობდით სესხების ლარში გადატანას. მაგრამ უარი მივიღეთ, რადგან ადამიანების ლოგიკა ასეთი იყო: „ლარი რომ გამყარდეს, ხომ დავზარალდები?“ პასუხი მარტივია: უნდა შეეცადო, სესხი გქონდეს იმ ვალუტაში, რომელშიც შემოსავლები გაქვს. ბუნებრივია, ვინც მაშინ სესხი ლარებში გადაიტანა, მას დღეს ყოველთვიური გადასახადი ლარში არ ექნებოდა გაზრდილი.

***– როგორ იმოქმედა ლარის კურსის ცვლილებამ საერთაშორისო ბირჟაზე განთავსებულ თქვენს აქციებსა და ინვესტორების განწყობებზე?***

– როდესაც ჩამოყალიბებულ, განვითარებულ ბაზარს წარმოადგენ, მოლოდინი შენი ზრდის მიმართ უფრო დაბალია. განვითარებადი ბაზრის ხიბლი კი ისაა, რომ ზრდის და მოგების მეტი შესაძლებლობა გაქვს, თუმცა, აქ ბაზარი უფრო რისკიანია. ბუნებრივია, კურსის გაუფასურებამ ყველა ქართული კომპანიის აქციების ფასზე უარყოფითად იმოქმედა.

***– განვითარებადი ბაზრის ამ სპეციფიკით ხსნით ქართული საბანკო სისტემის დიდ მოგებებს? გასულ წელს სექტორი ნახევარ მილიარდზე მეტ მოგებაზე გავიდა.***

– დიახ, აქ მუშაობს „რისკისა და ჯილდოს“ პრინციპი. რაც შეეხება ლარის კურსის ვარდნის გავლენას, ჩვენი საბაზრო კაპიტალიზაცია და აქციების ფასი დოლარში ფიქსირდება, აქციის ფასის განსაზღვრას კი ინვესტორები კაპიტალთან მიმართებაში ახდენენ. შესაბამისად, თუ კაპიტალი დოლარში შემცირდა, ეს მოქმედებს აქციის ფასზე.

ლარის კურსის ვარდნის ერთ-ერთი შედეგი ჩვენთვის აქციების ფასის მკვეთრი შემცირება იყო. როდესაც საფონდო ბირჟაზე გავიტანეთ აქციები, ერთი აქციის ფასი 13 დოლარი იყო, მერე იზრდებოდა ჩვენი შედეგების შესაბამისად. თუმცა შარშან, როდესაც ლარის კურსის მკვეთრი ვარდნა განხორციელდა, აქციის ფასი დაახლოებით 8,5 დოლარამდე დავიდა.

***– რა თანხების მიზიდვა მოახერხეთ ლონდონის ბირჟაზე და რა მისცა ამან რიგით მსესხებლებს?***

– ლონდონის საფონდო ბირჟაზე თავდაპირველად გატანილ ჩვენს აქციებში ჯამში განთავსდა 260 მილიონი დოლარი, საიდანაც მოზიდული თანხა მთლიანად გამოყენებული იქნა სესხების პორტფელის გასაზრდელად და ბანკის გასაფართოებლად. დადასტურდა, რომ თიბისი ბანკი კორპორატიული მართვის სტანდარტებით, ფინანსების გამჭვირვალობით, სხვა მახასიათებლით აკმაყოფილებს უმაღლეს საერთაშორისო სტანდარტებს და ბირჟის მოთხოვნებს. გარდა ამისა, ბანკის აქციები ლიკვიდური გახდა, რაც ზრდის ინვესტორების დაინტერესებას, თიბისი ბანკის აქციებში განათავსონ თანხები.

***– ბიზნესსესხების გაცემისას რამდენად სიღრმისეულად აფასებთ ბიზნესის ფინანსურ მდგომარეობასა და კრედიტუნარიანობას?***

– ბიზნესის შემთხვევაში ბანკი მაქსიმალურად ეხმარება კომპანიებს საკუთარი შესაძლებლობების შეფასებაში. მსოფლიო ბანკთან და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან ერთად მცირე მეწარმეებისთვის დაინერგა კარგი პროგრამა, ინსტრუმენტების კრებული იმისთვის, რომ მცირე და საშუალო ზომის კომპანიამ შეაფასოს საკუთარი ფინანსური სიჯანსაღე და ის, თუ რა სესხის აღების შემთხვევაში შეძლებს ისე მოემსახუროს სესხს, რომ პრობლემები არ შეექმნას.

ჩვენს პარტნიორ მეწარმეებს ვაძლევთ შესაძლებლობას, უფასოდ შეისწავლონ მენეჯმენტის, ფინანსების თუ ადამიანური რესურსების მართვის საკითხები გამოცდილ ტრენერებთან ერთად. ამ გზით მათ აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ მათი წარმატებისთვის აუცილებელი ბიზნესჩვევები.

– ბიზნესმენები არცთუ იშვიათად ბანკს უყენებენ პრეტენზიას, რომ ის მხოლოდ უძრავი ქონების ჩადებაზეა ორიენტირებული და არ აფასებს მის სხვა აქტივსა და პოტენციალს.

– ბანკის ძირითადი ამოცანაა, ისეთ კომპანიაზე გასცეს სესხი, რომელიც ამას თავისი ბიზნესიდან დააბრუნებს. პირველ რიგში, აანალიზებს კომპანიის არსებულ შემოსავლებს და იმას თუ არსებული და სესხის აღების შედეგად გაზრდილი შემოსავლები რამდენად




უზრუნველყოფს სესხის მომსახურებას. თუ ასეთი პირობა არსებობს, მხოლოდ მას შემდეგ ხდება გირავნობაზე საუბარი.

ბანკისთვის გირავნობაში რაიმე ქონების აღებისას მთავარია ის, რომ ნივთი დაგირავებადი იყოს და სესხის არგადახდის შემთხვევაში გირავნობის საგნის სწრაფი რეალიზაცია მოხდეს.

მაგალითად, თუ ბანკს ტონობით ღვინო დარჩა, ის მის ჩამოსხმას და გაყიდვას ვერ დაიწყებს. აქედან გამომდინარე ბუნებრივია, რომ ქონებას უპირატესობა ენიჭება, თუმცა სხვა შემთხვევებიც არსებობს.

ბანკმა უნდა აკეთოს თავისი საქმე. ბანკის საქმე კი სესხების გაცემაა და არა – არასაბანკო საქმის მართვა. სესხის აღებისას განმსაზღვრელია ის, თუ კომპანიის შემოსავლები პლუს წარმოდგენილი ბიზნესგეგმა რამდენად დამაჯერებლად უზრუნველყოფენ ამ კონკრეტული სესხის მომსახურებას.

***– ანუ, რაც უნდა ბევრი უძრავი ქონება ჰქონდეს კომპანიას, მაგრამ ბიზნესგეგმა და სტაბილური შემოსავლები არ გააჩნდეს, სესხს ვერ მიიღებს?***

– ვერავითარ შემთხვევაში. მილიონი დოლარის ქონებაც რომ მოიტანოს ათი ათასი დოლარის სესხის ასაღებად, თუ კომპანიას შემოსავლები არ აქვს, სესხს ვერ მიიღებს.

***– მეორე მხრივ, დავუშვათ, კომპანია არ ფლობს სათანადო მოცულობის ლიკვიდურ ქონებას, თუმცა აქვს შემოსავლები და კარგი ბიზნესგეგმა. ის მიიღებს სესხს?***

– სტარტაპია?

***– სტარტაპი არა. მაგალითად, რაიონში მდებარე, უკვე ამუშავებული საწარმოა, მაგრამ თბილისის ცენტში უძრავ ქონებას არ ფლობს.***

– სესხის გაცემისას ბანკისთვის რამდენიმე კრიტერიუმია მთავარი: პირველი – შემოსავლები, რამდენად მოწესრიგებული და გამჭვირვალე აქვს ფინანსები, რამდენად სწორია ფასწარმოქმნა და რამდენად მომგებიანია ეს კომპანია. შესაძლოა, ბიზნესგეგმა ნაწილობრივ მომავალ შემოსავლებზე იყოს დაფუძნებული, მაგრამ 100%-ით ამაზე დაფუძნებული ვერ იქნება.

ბანკის ამოცანაა, თანხა, რომელსაც ის გასცემს, რეალურად მოხმარდეს ბიზნესის განვითარებას. არასწორი წარმოდგენაა, თითქოს ბანკი დაინტერესებულია მსესხებლის მიერ სესხის გაცემის შეფერხებით.

როდესაც ადამიანს სესხზე უარს ეუბნები, ცხადია, ის ბრაზდება და ბანკს აბრალებს ყველაფერს. თუმცა თუ გააანალიზებს, თავადაც მივა დასკვნამდე, რომ მისთვის ამ მოცულობის სესხის აღება არ არის გამართლებული.

მეტსაც გეტყვით – ბევრი ადამიანი, რომელსაც სესხზე უარი ვუთხარით, ჩვენი მადლიერია იმის გამო, რომ მათ შემოსავლებთან შეუსაბამო კრედიტი არ მივეცით, ამით თავიდან იქნა აცილებული მათი ქონების დაკარგვის საფრთხე.

***– თქვენ, როგორც ბანკი, ბიზნესის პარტნიორად აღიქვამთ თავს?***

– რა თქმა უნდა. ჩვენი მთავარი ამოცანაა, პოტენციურ მსესხებელ-პარტნიორს დავანახოთ, რა რისკებია მის ბიზნესპროექტში, დავეხმაროთ სწორად დაგეგმვაში, რომ ჩვენი ურთიერთობა ორივე მხარისთვის მომგებიანი იყოს. ისეთი შემთხვევებიც ბევრია, როცა ჩვენ მიერ უარის თქმის შემთხვევაში შესაძლოა, მას ფული სხვა, ჩვენთან შედარებით ნაკლებად კონსერვატიულმა საფინანსო ორგანიზაციამ მისცა პირადი ქონების უზრუნველყოფით, რის გამოც ზოგჯერ მთელი მისი ქონება დაკარგვის საფრთხის წინაშე დამდგარა.

***– გამოდის, თიბისი ბანკის მიერ დაფინანსების მიღება უკვე ნიშნავს, რომ კომპანია ძლიერი და მოწესრიგებულია?***

– დიახ, თუ ჩვენი შეფასებები გაიარა, ეს გარკვეული გარანტიაა, რომ მსესხებელი გადამხდელუნარიანია. ამიტომაცაა, რომ სხვა ბანკები „ნადირობენ“ ხოლმე ჩვენი კარგი მსესხებლების გადასაბირებლად.

***– ხედავთ თუ არა საფრთხეებსა და სხვა ბიზნესის შევიწროების რისკებს ბანკების მიერ არაპროფილური აქტივების ფლობაში?***

– ავიწროებს თუ არა, მეორე თემაა. მთავარია ის, თუ რა არის ბანკი. ბანკი არის დეპოზიტების, სხვისი თანხების განკარგვისა და დაბანდების ინსტიტუტი. ჩვენ სხვისი თანხა რისკიან აქტივებში არ უნდა განვათავსოთ. ბანკმა, როგორც ინსტიტუტმა, იცის სესხის გაცემა. ბანკმა უნდა აკეთოს ის საქმე, რომელიც კარგად იცის და რადგან მისი საქმეა სხვისი ფულის მართვა, მან უნდა განკარგოს სხვისი ფული იმ საქმეში, რომელიც კარგად იცის.

***– საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილში ანტისაბანკო განწყობებია. რით ახსნით ამას?***

– ჩვენ უაღრესად რთული პერიოდი გავიარეთ – 2008, 2009, 2010 წლები, როდესაც ბევრი სესხი „გაფუჭდა“. მაშინ ყველა ბანკმა იზრუნა, რომ სესხები დაებრუნებინა იმიტომ, რომ ბანკს არ აქვს უფლება, არ დაიბრუნოს თანხები, რადგან დეპოზიტარებს თანხები უნდა გადაუხადოს და მსესხებლებს კრედიტები მისცეს.

იმ ადამიანებს, რომლებსაც ამ წლებში სესხები გაუფუჭდათ, შესაძლოა, დიდი სიყვარული არ ჰქონდეთ ბანკების მიმართ, თუმცა კიდევ ერთხელ ვამბობ: ბანკები ვალდებულნი არიან დაიცვან დეპოზიტარების უფლებები.

გარდა ამისა, ბევრია ისეთი ადამიანი, ვისაც ბანკი არ აფინანსებს, რადგან ამ ადამიანების უკან არ არის შემოსავლები, სათანადო ისტორია და ისინი კრედიტუნარიანები არ არიან. ეს ადამიანები, ცხადია, განაწყენებულნი რჩებიან. იყო შემთხვევები, როდესაც ბიზნესსესხი არ დაბრუნდა იმის გამო, რომ მსესხებლები არამიზნობრივად იყენებდნენ აღებულ თანხებს – მაგალითად, სესხი მოახმარეს არა ბიზნესის საჭიროებას ან გაფართოებას, არამედ პირადი ქონების შეძენას. ან ხდებოდა ერთი კომპანიიდან მეორეში სახსრების გადაქაჩვა.

როდესაც ჩვენი უფლებები დავიცავით, ეს ადამიანები არ აღიარებდნენ საკუთარ ბრალეულობას და ცდილობდნენ, დამნაშავედ ბანკი გამოეყვანათ.

ეს სუბიექტური მიზეზებია. ობიექტურად კი საქართველოს საბანკო სისტემა არის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ბიზნესმიმართულება საქართველოში, რეგიონის ქვეყნების საბანკო სისტემებს შორის კი უდავო ლიდერია ისეთი მახასიათებლებით, როგორიცაა ფინანსური სიჯანსაღე, გამჭვირვალობა და კორპორატიული მართვის სტანდარტები.

***– თქვენ 2008-2010 წლები ახსენეთ. მაშინ უამრავი ადამიანი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების, ომისა და კრიზისის გამო, აღმოჩნდა კრედიტუუნარო. ასეთ შემთხვევაში ბანკმა უფრო მეტი სოციალური პასუხისმგებლობა არ უნდა გამოიჩინოს თუნდაც კრედიტების ჩამოწერის ფორმით?***

– ბანკს აქვს ძალიან დიდი შეზღუდვები იმასთან დაკავშირებით, რომ მსესხებელს აპატიოს სესხი. ეს იგივეა, რომ თქვენ ვინმეს სხვისი ფული აპატიოთ. შესაძლებლობის ფარგლებში, შეღავათებს ყოველთვის ვაკეთებთ. თბილისის სტიქიის დროს მაქსიმალურად დავეხმარეთ იმ მსესხებლებს, რომლებსაც სტიქიური უბედურება პირდაპირ შეეხოთ.

მხოლოდ გარდაუვალ შემთხვევაში ხდება აქტივის დასაკუთრება და ბაზარზე გაყიდვა, რათა ბანკმა საკუთარი თანხა დაიბრუნოს.

***– თიბისი ბანკს რამდენად ხშირად უწევს ამის გაკეთება?***

– თიბისი ბანკის ისტორიაში საცხოვრებლიდან მსესხებლის გამოსახლების შემთხვევა არასდროს მომხდარა. აქ, ცხადია, არ იგულისხმება შემთხვევები, როდესაც ადამიანს რამდენიმე უძრავი ქონება აქვს და კრედიტის დაფარვის მიზნით ერთ-ერთის გაყიდვა მოხდა. ამ შემთხვევაშიც კი, როდესაც ქონება გადადის ბანკის ბალანსზე, იქ ადამიანები ცხოვრობენ და აქვთ საშუალება, მოახდინონ მისი რეალიზაცია, დაფარონ კრედიტი და სურვილის შემთხვევაში უკან გამოისყიდონ საკუთარი საცხოვრებელი.

ზოგადად, ადამიანთა ნაწილი ზოგჯერ ცნობიერად, ზოგჯერ არაცნობიერად ცდილობს გაექცეს პასუხისმგებლობას საკუთარ შეცდომებზე და ეს ცნობილი ფენომენია. ერთ-ერთი თვალსაჩინო ფსიქოლოგი ერიხ ფრომი წიგნში „გაქცევა თავისუფლებისგან“ ხსნის, თუ რატომ იქმნებოდა ტოტალიტარული რეჟიმები; ის ასაბუთებს, რომ ადამიანს ზოგჯერ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღების და შეცდომის დაშვების შიში უბიძგებს ეს პასუხისმგებლობა სხვას გადააბრალოს და შესაბამისად, წარუმატებლობის შემთხვევაში ეს ადამიანი საკუთარ შეცდომებს კი არ აანალიზებს, არამედ დამნაშავედ სხვა გამოჰყავს.

ანტისაბანკო განწყობების შემთხვევაშიც მსგავს ფენომენთან გვაქვს საქმე: ადამიანი არ აკეთებს საკუთარი შეცდომების ანალიზს და აცხადებს, რომ ის ბანკმა „დააქცია“ და „გააღარიბა.“ სესხის გადახდა კულტურულობის მანიშნებელია, რადგან გამოხატავს შენს პასუხისმგებლობას, დაფარო აღებული სესხი, არ მოატყუო ადამიანი თუ ინსტიტუტი, რომელმაც ეს ფული განდო.

**მაია ბუთბაია, კომერსანტ.გე**

# „ფორუმელი“ სულხან წულაძე ბრალს არ აღიარებს



საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა ბრალდებული სულხან წულაძე მოინახულეს.

როგორც ინტერპრესნიუსს ომბუდსმენის აპარატიდან აცნობეს, ბრალდებულმა ომბუდსმენის რწმუნებულებს საქმის გარემოებების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

– ბრალდებული არ აღიარებს მისთვის წაყენებულ ბრალს. ამასთან, სულხან წულაძეს არ გამოუხატავს რაიმე პრეტენზია დაწესებულების ადმინისტრაციის მისამართით. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი განაგრძობს მოცემული საქმის შესწავლას, მათ შორის მონიტორინგს გაუწევს საქმესთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესს, – ნათქვამია ომბუდსმენის აპარატის განცხადებაში.

14 აპრილს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ბრალი წარუდგინა სულხან წულაძეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 326-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, რაც საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირზე თავდასხმას გულისხმობს.

სულხან წულაძემ „თბილისის ფორუმზე“ გახსნა ერთ-ერთი თემა, რომლის მიხედვითაც ის თითქოსდა ამზადებდა თავდასხმას საქართველოში აშშ-ის ელჩზე.

მიმდინარე წლის 15 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლომ, პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე, სულხან წულაძეს აღკვეთის ღონისძიების სახით ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

# ყაზბეგის გამგეობასთან საპროტესტო აქციას გამართავენ

სოფელ ცდოს მოსახლეობა მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის მშენებლობის გაპროტესტებას აგრძელებს და დღეს, 20 აპრილს, 13:00 საათზე, საპროტესტო აქციის გამართვას ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან გეგმავს.

მოსახლეობა მოითხოვს, დროებით შეჩერდეს დარიალი-სტეფანწმინდის 220 კვტ-იანი გადამცემი ხაზის იმ მონაკვეთის მშენებლობა, რომელიც უშუალოდ ცდოში მიმდინარეობს და მოსახლეობას სასამართლოში სამართლებრივი დავის საშუალება მიეცეს.

დარიალის ხეობაში დასრულებული და მშენებარე ჰიდროელექტროსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერგიის გამოსატანად დარიალი-სტეფანწმინდის მაღალი ძაბვის 220 კვტ-იანი გადამცემი ხაზის მშენებლობა მიმდინარეობს, რომელმაც, პროექტის თანახმად, სოფელ ცდოს სამოსახლო ტერიტორიაზე უნდა გაიაროს.

ადგილობრივების განცხადებით, გასულ წელს მოხდა სოფლის მოსახლეობის ტრადიციულ საკუთრებაში არსებული მიწების მისაკუთრება კომპანიის მიერ ისე, რომ ადგილობრივი მცხოვრებლები საქმის კურსში არ იყვნენ.

აქციის ორგანიზატორების თქმით, აღნიშნული გადამცემი ხაზის სოფელ ცდოზე გატარება შეზღუდავს სოფლის განვითარებას.

— იმის ფონზე, რომ მოსახლეობის შენარჩუნება მთაში, მით უმეტეს, სასაზღვრო რეგიონში სახელმწიფოს პრიორიტეტია, გაუგებარია,



რას ემსახურება მსგავსი პროექტები.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ალტერნატიული ვარიანტი, რომლის შემთხვევაშიც მაღალი ძაბვის 220 კვტ-იანმა გადამცემმა ხაზმა შესაძლოა სოფლიდან მოშორებით გაიაროს, პროექტის განმახორციელებელი კომპანია მაინც სოფლის სამოსახლო ტერიტორიაზე ცდილობს მის გატარებას.

რამდენიმე კვირის წინ კომპანიამ აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად კანონით დადგენილი საჯარო განხილვების გვერდის ავლით, მიიღო პროექტის განხორციელების ნებართვა და 2016 წლის 15 აპრილს სოფელში ტექნიკა აიყვანა და სამშენებლო სამუშაოები დაიწყო, — აცხადებენ ორგანიზატორები.

მოსახლეობა მოითხოვს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გააუქმოს კომპანიისთვის მიცემული ნებართვა და ხელისუფლებისა და კომპანიის მიერ მოხდეს მოსახლეობის მიერ შეთავაზებული გონივრული ალტერნატივის შესწავლა, რაც სოფელს მის სამოსახლო ტერიტორიაზე მაღალი ძაბვის გადამცემ ხაზებს აარიდებს.

ნიუსპრესი

# სომხური პრესა: „საქართველო წყალს თურქებისა და აზერბაიჯანელების წისქვილზე ასხამს“

რამდენიმე დღის წინ მოსკოვის ლიტერატორთა სახლში გაიმართა მემორიალური საღამო, რომელიც ოსმალეთის იმპერიაში (თურქეთში) სომხების გენოციდის 101-ე წლისთავს მიეძღვნა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვით გამოვიდა ცნობილი სომეხი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწე, მეცენატი ვარტკეზ არწრუნი, რომელსაც გაზეთ „გოლოს არმენიის“ კორესპონდენტმა სარქის სარქისიანმა ინტერვიუ ჩამოართვა.

ჟურნალისტთან საუბრისას სომეხმა ქველმოქმედმა აღნიშნა, რომ 1915 წელს მომხდარი გენოციდი დღეს თურქეთისა და აზერბაიჯანის მხრიდან კვლავ მეორდება, მაგრამ შედარებით უფრო დახვეწილი ფორმით.

„თითქმის 25-წლიანმა ბლოკადამ სომხეთის ეკონომიკა ფაქტიურად დაანგრია. ამიტომაც რუსეთმა როგორც სომხეთის სტრატეგიულმა მოკავშირემ, აზერბაიჯანს ულტიმატუმი უნდა წაუყენოს — ან ბაქო მოახდენს რკინიგზის განბლოკვას, ან მოსკოვი დაბლოკავს რკინიგზას. მესამე ვარიანტი არ არსებობს“, — განაცხადა ვარტკეზ არწრუნმა. ინტერვიუში იგი შეეხო სომხეთ-საქართველოს ურთიერთდამოკიდებულებასაც.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ამონარიდს ინტერვიუდან:

— სომხეთის ბლოკადას თან ახლავს ახალი სარკინიგზო მაგისტრალის „ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის“ მშენებლობა...

— დიახ, მაგრამ არ მესმის, ამაზე რატომ არავინ არაფერს ამბობს. მაშინ როცა უკვე არსებობს „გიუმრი-ყარსის“ სარკინიგზო ხაზი, „ბაქო-თბილისი-ყარსის“ რკინიგზის მშენებლობა არამარტო ანტისომხურ, არამედ ანტირუსულ პროექტსაც წარმოადგენს. თუ ამ პროექტით ჩვენს მტრებსა და არაკეთილისმსურველებს საქართველოს მეშვეობით სომხეთის სრული იზოლირების გეგმა აქვთ ჩაფიქრებული, მაშინ რუსეთისათვის ძალიან საშიშია ამ რკინიგზაში ჩინეთის ჩართვა. მოსკოვს უნდა აღელვებდეს ის ფაქტი, რომ „ბაქო-თბილისი-ყარსის“ რკინიგზით არა მარტო მშვიდობიანი ტვირთის გადატანა შეიძლება... გარდა ამისა, გამორიცხული არაა გიუმრიში დისლოცირებული რუსეთის 102-ე სამხედრო ბაზის ბლოკირება და ჯავახეთის სომხური მოსახლეობის მიმართ რაიმე პროვოკაციის მოწყობა, კარგად შემუშავებული სქემით... ვთქვათ და ვიღაც სარკინიგზო შემადგენლობას ააფეთქებს, შემდეგ ამას სომხებს დააბრალებენ და დაიწყებენ მათ გასახლებას რკინიგზის ზონიდან, იმავე ადგილებზე თურქების ჩასახლების მიზნით. ამით ასრულდება თურქული ისტებლიშმენტის საუკუნო ოცნება — დიდი თურანის შექმნა, ალბანეთიდან ჩინეთის სინძიან-უიღურის ავტონომიურ რაიონამდე. შესაბამისად, თურქეთის გეგმების განხორციელება ჩინეთისთვისაც არ იქნება კარგი.

სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლებისაქ და ქართველი ხალხის საკმაოდ ბევრი წარმომადგენელი თურქებისა და აზერბაიჯანელების არმენიაფობიურ (სომეხთმოშიშეთა) წისქვილზე წყალს სიამოვნებით ასხამენ და ამისთვის ყველანაირ შესაძლებლობას იყენებენ. მაგალითად, [აქ, მოსკოვში], ჩვენს თვალწინ, ვიღაც ვახტანგ ჯანაშია, რომელიც გაზეთ „მეტროს“ რედაქციაშია შემძვრალი, მოსკოველებს ყოველდღე კვებავს ანტისომხური სტატიებით. კაცმა ხელობად გაიხადა ერთაშორისო სიძულვილის გაღვივება და ამას არავინ ყურადღებას არ აქცევს, თუმცა რუსეთში მსგავსი მოქმედება სისხლის სამართლებრივად დასჯადია. ასეთი მიდგომა ქართველებს იქამდე მიიყვანს, რომ საქართველო საერთოდ აღარ იარსებებს. ქვემო ქართლის მხარის სამ რაიონში (მარნეულში, ბოლნისში, დმანისში) აზერბაიჯანელები უკვე აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენენ.

ნიუსპრესი

# „საქართველოსთან ვიზალიბერალიზაცია შეიძლება დროებითი აღმოჩნდეს“




ევროკავშირის მიერ თურქეთთან სავიზო რეჟიმის გაუქმების შესახებ შეთანხმებაში, რომელიც ხელი მიმდინარე წლის ივნისში უნდა მოეწეროს, სავარაუდოდ, შეტანილი იქნება „გადავადების“ პუნქტი, რაც იმას ნიშნავს, რომ სავიზო რეჟიმის გაუქმება განუსაზღვრელი და სამიდღემჩიო არ იქნება.

შესაბამისად, ვიზალიბერალიზაციაც, თუ საჭირო გახდება, იოლად იქნება გაუქმებული ან გადავადებული, — წერს გერმანული გაზეთი „ველტი“ 17 აპრილს გამოქვეყნებულ სტატიაში (ავტორი ქრისტოფ შილტცი).

პუბლიკაციაში აღნიშნულია, რომ ასეთ გადაწყვეტილების მიღება სურთ რიგ ევროპულ ქვეყნებს, მათ შორის გერმანიასა და საფრანგეთს. ამის მიზეზად დასახელებულია მიგრაცია და ადამიანის უფლებების დაცვა: თუ თურქეთი ადამიანის უფლებების დაცვასა და მიგრანტების შეჩერების თაობაზე ევროკავშირთან ხელმოწერილ შეთანხმებების პირობებს არ დაიცავს, მაშინ ანკარას კვლავ სავიზო რეჟიმი დაუბრუნდება.

გაზეთის ინფორმაციით, ევროპელი დიპლომატები დაბეჯითებით მოითხოვენ, რომ ამგვარი შესწორება-შენიშვნა აუცილებლად იქნეს შეტანილი მესამე ქვეყნებთან დაგეგმილ შეთანხმებებში სავიზო რეჟიმის გაუქმების შესახებ, კერძოდ, ეს ეხება ვიზა-ლიბერალიზაციას არა მარტო თურქეთთან, არამედ კოსოვოსთან, საქართველოსთან და უკრაინასთან.

ბრიუსელის მიერ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის, თუმცა უახლოეს ხანში მოსალოდნელია. ეს საკითხი ინტენსიურად იქნება განხილული ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე, რომელიც 21 აპრილს ლუქსემბურგში უნდა ჩატარდეს.

ნიუსპრესი

# ნაციონალური მოძრაობის აქციას ქუთაისში დაპირისპირება მოჰყვა




ქუთაისში ნაციონალური მოძრაობის ახალგაზრდული ფრთის მიერ გამართულ აქციაზე სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა. დაპირისპირება „თავისუფალი ზონის“ აქტივისტებსა და მოქალაქეებს შორის წარმოიქმნა.

აქციაზე შეკრებილი ახალგაზრდები, მათივე თქმით, ქვეყანაში არსებულ ერთპიროვნულ მმართველობას აპროტესტებდნენ.

— ჩვენ ამ აქციით ოლიგარქის კულუარულ მმართველობაზე უარს ვამბობთ. როგორც ხედავთ, ქალაქის მერმა მშვიდობიანი აქციის პროვოკატორების მეშვეობით ჩაშლა ცადა, მაგრამ ვარწმუნებთ, რომ ჩვენ ყოველივე ამას 8 ოქტომბერს აუცილებლად მოვუღებთ ბოლოს“, — განაცხადა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ.

მოქალაქეებმა ნაციონალური მოძრაობის წევრებს ქვეყნის მოღალატეები უწოდეს.

ნიუსპრესი

# ბზის დაავადება აღმოსავლეთ საქართველოშიც გავრცელდა



კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელის ინფორმაციით, დაავადება „ბზის ალურა“ უკვე აღმოსავლეთ საქართველოშიც, კონკრეტულად კი გურჯაანის რაიონის სოფლებში გავრცელდა.

ბზის მავნებელი პეპლის მატლები იკვებებიან მცენარის ფოთლებით, რაც მის განადგურებას იწვევს.

„სახლში ბზის ორი დიდი ხე გვაქვს. რაღაც დაავადება გაუჩნდა, მატლები დაეხვია და სამ დღეში ასწლოვანი ხეები განადგურების პირას მიიყვანა. ხეებს ფოთლები აღარ აქვს, ისე გამოიყურება, თითქოს მზისგან არის დამწვარი. იქნებ ვინმე დაგვეხმაროს და გვითხრას, როგორ მოვიქცეთ ან რა წამალი დავასხათ, რომ არ გახმეს მთლიანად, — განუცხადეს ნიუს.გე-ს გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ახაშენის მცხოვრებლებმა.

შეგახსენებთ, რომ კოლხური ბზა გადაშენების პირასაა, რადგან სოკოვანმა დაავადებამ, რომელიც „ბზის სიდამწვრის“ სახელითაა ცნობილი, 2010-2014 წლებში დასავლეთ საქართველოს ბზის კორომების დიდი ნაწილი, მათ შორის, უნიკალური ბუნების ძეგლები გაანადგურა.

ნიუსპრესი

# მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი ღმერთს შესთხოვს, უჩა ნანუაშვილს გონება გაუნათოს

მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი სახალხო დამცველს მიკერძოებულობასა და მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მართულ კამპანიაში ადანაშაულებს და მის გადადგომას მოითხოვს. კავშირის წევრებმა ამ მოთხოვნით აქცია გუშინ, 19 აპრილს, ომბუდსმენის ოფისთან გამართეს. აქციის მონაწილეებმა სახალხო დამცველის ოფისთან პარაკლისი გადაიხადეს და ღმერთს შესთხოვეს, უჩა ნანუაშვილს გონება გაუნათოს.



— ღმერთს ვთხოვთ შეწევნას, რათა აღიკვეთოს ისეთი ტენდენციური ქმედებები, რომელითაც ავითარებს სახალხო დამცველის აპარატი, ზოგიერთი ცნობილი არასამთავრობო ორგანიზაცია. მათი საქმიანობა არის საკმაოდ ტენდენციური, მიზანმიმართულად ხდება ჩვენი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა, უზნეობის წახალისება, მათი უცხო ქვეყნების ინტერესების განვითარება ჩვენს ქვეყანაში, რაც უცხოა, მიუღებელია ჩვენთვის. ქართველი ხალხის, მათი ცნობიერების, ინტერესების შელახვის ფასად ეს არ უნდა ხდებოდეს. რაც მისაღებია ჩვენთვის, იმას აუცილებლად მივიღებთ. მეორე ტენდენცია — სახიფათო და საშიში, ფაქტობრივად, ხელისუფლებაში მოვიდა ახალი ხელისუფლება ამ არასამთავრობო ორგანიზაციების სახით, რომლებიც პირდაპირ იჭრებიან და ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობას ხელს უშლიან, — აღნიშნა დეკანოზმა დავით ისაკაძემ.

ომბუდსმენის ოფისი აქციას გუშინვე გამოეხმაურა. ჟურნალისტებთან გაკეთებულ კომენტარში უჩა ნანუაშვილის მოადგილე პაატა ბელთაძე ამბობს, რომ ეს განცხადებები გადაჭარბებულია და სახალხო დამცველი ყოველთვის ობიექტურობის პრინციპით ხელმძღვანელობს.

პირველი რადიო

# საქართველო და უკრაინა ევროკავშირთან უვიზო რეჟიმს ზაფხულისთვის მიიღებენ?

ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი ლინას ლინკევიჩუსი იმედოვნებს, რომ საქართველო და უკრაინა ევროკავშირთან უვიზო რეჟიმს ზაფხულისთვის მიიღებენ.

ამის შესახებ ლინკევიჩუსმა რადიო „თავისუფლების“ უკრაინული ბიუროსთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

— საქართველოსა და უკრაინისთვის მარტივი არ იყო ყველა იმ მოთხოვნის შესრულება, რომელიც ამ პროცესისთვის არის საჭირო. მათ ეს გააკეთეს. ახლა ჩვენ უნდა მოვახდინოთ ჩვენი გადაწყვეტილების იმპლემენტაცია. ამის შესახებ ევროკავშირის ბევრმა წარმომადგენელმა ისაუბრა, ამიტომ, ვიმედოვნებ, რომ პროცესი გამართულად ჩატარდება. ახლა სამუშაოს ჩვენი ნაწილი უნდა შევასრულოთ, ვიმედოვნებ, რომ ზაფხულისთვის მათთვის უვიზო რეჟიმი დაწესდება, — განაცხადა ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

ინტერპრესნიუსი

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# აშშ ერაყში დამატებით 200 სამხედროს გაგზავნის



ბაღდადში აშშ-ს თავდაცვის მინისტრი ეშტონ კარტერი ჩავიდა. ერაყის პრეზიდენტთან შეხვედრისას მან განაცხადა, რომ ერაყში დამატებით კიდევ 200 სამხედროს გაგზავნიან.

— ახლოვდება ბრძოლა მოსულისათვის. ეს ერაყისთვის ბრძოლაა, — თქვა კარტერმა.

აშშ-ს თავდაცვის მინისტრმა აღნიშნა, რომ თუ მოსულის გათავისუფლება მოხერხდა, ამით ერაყის ტერიტორიაზე ისლამისტ-ექსტრემისტებთან ბრძოლაც დასრულდება.

— ამიტომაც მოსულის გათავისუფლებისთვის გულდასმით ვემზადებით, — თქვა კარტერმა.

# ტერაქტი იერუსალიმში



იერუსალიმის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ტერაქტი მოხდა. აფეთქდა სარეისო ავტობუსი. როგორც შემდგომში გამოირკვა, მასში ბომბი იყო ჩადებული.

აფეთქების მომენტში ავტობუსში მგზავრები არ იყვნენ.

აფეთქებამ მეზობელ ავტობუსში მყოფი მგზავრები დააზიანა. დაშავებულია 20 ადამიანი. აქედან 2-ის მდგომარეობა მძიმეა.

# ჩრდილოეთ კორეა ახალი ბირთვული გამოცდებისთვის ემზადება



სამხრეთ კორეის თავდაცვის მინისტრმა მუნ სან გიუნმა განაცხადა, რომ სანქციები ჩრდილოეთ კორეაზე ზეგავლენას არ ახდენს — ფხენიანი ახალი ბირთვული გამოცდებისთვის ემზადება.

— ამაზე ჩვენი დაზვერვის მონაცემები მიუთითებენ, — თქვა სამხრეთ კორეის თავდაცვის მინისტრმა.

მუნ სან გიუნმა აღნიშნა, რომ სამხრეთ კორეის შეიარაღებულ ძალებში სრული მობილიზაციაა გამოცხადებული.

— ჩვენ ნებისმიერი პროვოკაციის აღსაკვეთად მზად ვართ, — აცხადებს მინისტრი.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# ასადი: „დემოკრატია ძალაუფლების სანაცვლოდ“



სირიაში ბრიტანეთის პარლამენტის დეპუტატი დევისი ჩავიდა. ის გამოცდილი პოლიტიკოსი და მმართველი კონსერვატორული პარტიის წევრია.

— სირიაში განვითარების რამდენიმე სცენარი არსებობს. პირველი ჯიჰადისტების გამარჯვებაა, რაც სრულ კატასტროფას მოასწავებს. მეორე ის, რომ დასავლეთი უნდა შეეგუოს ასადის რეჟიმს, რომლის უკანაც რუსები დგანან. არსებობს მესამე ვარიანტიც. დასავლეთმა სირიის მიმართ ახალი მარშალის გეგმა უნდა აამოქმედოს და აიძულოს ასადი, ოპოზიციასთან რეალურ მოლაპარაკებაზე წავიდეს, — განაცხადა დევისმა.

როგორც ჩანს, დასავლეთში მესამე სცენარზე უკვე სერიოზულად ფიქრობენ. დევისის სირიაში ვიზიტიც ერთგვარ მოთელვას წარმოადგენდა.

ბრიტანელი დეპუტატი პირადად დიქტატორ ასადს შეხვდა. საუბარმა ოთხ საათზე მეტხანს გასტანა.

— ასადი ძალზე თავაზიანად შემხვდა, — ამბობს დევისი.

საუბრისას სირიის დიქტატორმა თავის ინგლისელ სტუმარს განუცხადა: დასავლეთმა კურსი ჩემი დამხობისკენ აიღო, მიმდინარეობს ფართომასშტაბიანი, კარგად დაფინანსებული და ორგანიზებული პროპაგანდისტული კამპანია. ჩემგან სისხლიანი დიქტატორის სახე შექმნეს, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება.

— არ უარვყოფ, წამებებსა და მკვლელობებს ადგილი მართლაც ჰქონდა, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ ჩვენი მხრიდან არ ხდება! შეხედეთ ისლამისტებს, რას სჩადიან, — თქვა ასადმა.

სირიის დიქტატორმა რუსებთან კავშირი დასავლეთის პოზიციით ახსნა: ამერიკელები ჩემს დამხობას ცდილობენ, პუტინი კი პირიქით, მეხმარებაო.

ასადმა ხაზი გაუსვა, რომ მისი მმართველობისას სირიაში გვერდიგვერდ არსებობენ როგორც მეჩეთები, ასევე ქრისტიანული ეკლესიები, ქალების უმრავლესობას ჩადრი არ ახურავს.

ასადმა გამოთქვა მზადყოფნა, რომ ფართომასშტაბიან ლიბერალიზაციაზე წავიდეს, ოღონდ ერთი პირობით: დასავლეთმა უარი უნდა თქვას მის დამხობაზე.

— დევისის მისია დასრულდა. რა მოხდება შემდეგ? — კითხულობს ბიბისი.

# ქაბულში შაჰიდმა თავი აიფეთქა



ავღანეთის დედაქალაქში მორიგი ტერაქტი მოხდა. ტერორისტმა შაჰიდმა ქაბულის ცენტრში თავი აიფეთქა. ქალაქის თავზე შავი კვამლი აღიმართა.

ტერაქტის შედეგად არის მსხვერპლი.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# უილიამმა და კეიტმა მოგზაურობა ტაჯ-მახალის მონახულებით დაასრულეს



კემბრიჯის ჰერცოგმა და ჰერცოგინიამ ინდოეთსა და ბუტანში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ტაჯ-მახალი მოინახულეს.

ბრიტანეთის პრინცმა და მისმა მეუღლემ ფოტოსურათი იმავე მარმარილოს სკამზე გადაიღეს, რომელზეც 24 წლის წინ მარტო იჯდა პრინცის დედა, დიანა, რითიც თავის მეუღლე ჩარლზთან დაშორებაზე მიანიშნა.

აღსანიშნავია, რომ უილიამმა კეიტს ფოტოსესიაში მონაწილეობა შესთავაზა, რათა რამდენიმე საკუთარი მოგონება შეექმნათ. ფოტოების ავტორი იგივე ფოტოგრაფი გახდა, რომელმაც სურათები პრინცესა დიანას გადაუღო.

ტაჯ-მახალში სტუმრობისასა კეიტმა ადგილობრივ ბაზრობაზე მუქი-ლურჯი ფერის საყურეები იყიდა, რაშიც 6,6 ფუნტი სტერლინგი გადაიხადა.

ამავე ვიზიტის ფარგლებში პრინცმა უილიამმა და მისმა მეუღლემ ჰიმალაიზეც იმოგზაურეს და ბუტანის ერთ-ერთი სიწმინდე მოინახულეს. ისინი ესტუმრნენ მონასტერ ტაკცაგან-ლაკჰანგს. მონასტერი 3 ათასი მეტრის სიმაღლეზე აღმართულ კლდეზეა აშენებული და ჰერცოგი და ჰერცოგინია იქ ფეხით ავიდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ბუტანის მეფემ მათ რამდენიმე თავისი ცხენი გაუგზავნა.

# „მორცხვ“ პანდებს სექსში დაეხმარნენ

ჩინეთის პროვინცია სიჩუანში მდებარე კვლევითი ცენტრის მკვიდრ „მორცხვ“ დიდ პანდებს სექსით დაკავებაში დაეხმარნენ.



თავდაპირველად ხუთი წლის მდედრი პანდა სუ შანი მამრ ი ბაოსთან უნდა შეჯვარებულიყო, მაგრამ მათ ერთმანეთი „არ მოეწონათ“.

უარყოფილი მამრი 17 წლის იან იანით შეცვალეს. სანამ პანდებს ერთმანეთს გააცნობდნენ. ცენტრის თანამშრომლებმა მდედრ პანდას მამრის მიერ გამოცემული ხმების ჩანაწერი ჩაურთეს. იმისთვის, რათა ცხოველებს შეჯვარებაში დახმარებოდნენ, ცენტრის თანამშრომლები გრძელ ჭოკზე წამოცმული ვაშლით სუ შანის კუდს შეეხნენ.

ამ შეჯვარებამ გამოიღო თუ არა შედეგი და სუ შანი დაფეხმძიმდა თუ არა, ორ თვეში გახდება ცნობილი.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 2000კვ.მ. და 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ორივე ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 2000 კვ.მ. ფასი 3$ტელ: 593-25-54-21; ან 593 50-16-08.

### მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

## მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

# საქართველოს რიოსთვის 29 ლიცენზია აქვს



საქართველოს ნაკრების ყულაბას რიოს ლიცენზიები ემატება. სადღეისოდ უკვე მოპოვებული გვაქვს 29 ლიცენზია და ეს ჯერ მაქსიმუმი არ არის. დარჩენილია რამდენიმე ტურნირი, სადაც რიოში გასამგზავრებელი საგზურების მოპოვების შანსი კიდევ არის.

**გაგაცნობთ სადღეისო ლიცენზიანტების სრულ სიას:**

ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა); ხათუნა ნარიმანიძე (მშვილდოსნობა); ქრისტინე ესებუა (მშვილდოსნობა), იულია ლობჟანიძე (მშვილდოსნობა), სალომე ფაჟავა (მხატვრული ტანვარჯიში), ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), სანდრო ამინაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), ელიზბარ ოდიკაძე (თავისუფალი ჭიდაობა), გენო პეტრიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), იაკობ მაქარაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), დავით ხარაზიშვილი (მძლეოსნობა), ლუბა გოლოვინა (ბატუტზე ხტომა), ძალოსნობის ნაკრები (4 ლიცენზია), ძიუდოისტთა ნაკრები (7 ლიცენზია), ცოტნე მაჭავარიანი (ტყვიის სროლა), ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ნაკრები (4 ლიცენზია), სანდრო ბაზაძე (ფარიკაობა).

# დალასმა ოკლაჰომას მოედანი წაართვა



პირველ მატჩში 38 ქულით წაგებისა და პირადსაკლუბო ანტირეკორდების დამყარების შემდეგ დალასელებმა სამაგალითოდ იბრძოლეს, ოკლაჰომა სანდერსს მისსავე გულშემატკივრებით სავსე ტრიბუნების წინ მოუგეს და მოედნის უპირატესობა თავის მხარეს გამოისროლეს.

დრამატულ, უდაძაბულეს მატჩში ზაზა ფაჩულიას გუნდმა საამაყო გამარჯვება მოიპოვა და სერიაში ანგარიში გათანაბრდა – 1:1.

მომდევნო 2 თამაში უკვე დალასში – 22 და 24 აპრილს გაიმართება.

შეხვედრის დასრულებამდე 6 წუთით ადრე მასპინძლები 78:71 იგებდნენ, თუმცა ტეხასელები არ დანებდნენ და ვესლი მეთიუზის, სალაჰ მეჯრის და რეიმონდ ფელტონის ქულებით 79:78 დაწინაურდნენ. ამის შემდეგ შეხვედრა ქულა-ქულაში გაგრძელდა და საფინალო სირენამდე 14 წამით ადრე მეთიუზის ორქულიანით დალასელები 85:81 დაწინაურდნენ.

დასრულებამდე 9 წამით ადრე კევინ დიურანტი სამქულიანით მინიმუმამდე ამცირებს ჩამორჩენას, ფელტონი კი საპასუხო შეტევაში ორივე საჯარიმოს აცილებს და ოკლაჰომელებს 7 წამი რჩებათ. სწრაფ შეტევაში ჯერ დიურანტს უფარებს დალასელი ჯასტინ ანდერსონი, თუმცა ბურთს რასელ ვესტბრუკი ეუფლება და ისიც აცილებს. მესამე ცდა, რომელიც სტივ ადამსმა შეასრულა, წარმატებული აღმოჩნდა და საფინალო სირენის შემდეგ ოკლაჰომელები გამარჯვებას ზეიმობენ. ზეიმი ხანმოკლე აღმოჩნდა, ვიდეოგადახვევამ აჩვენა, რომ სტივ ადამსს ბურთი ჯერაც ხელში უჭირავს, საფინალო სირენა რომ გაისმის.

ქართველმა ლეგიონერმა გამარჯვებაში საკუთარი წილი დაიდო – ის სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 20 წუთი გაატარა, რის განმავლობაშიც 6-დან 1 ორქულიანი ჩააგდო და შეხვედრა 2 ქულით, 6 მოხსნით და 1 ჩაჭრით დაასრულა.

# ლუის ენრიკესა და ნეიმარს დისკვალიფიკაცია ემუქრებათ

ბარსელონას მთავარი მწვრთნელი ლუის ენრიკე ვალენსიასთან „კამპ ნოუზე“ წაგებული თამაშის (1:2) შემდეგ იმდენად გაღიზიანებული იყო, რომ მას ერთ-ერთ ჟურნალისტთან კონფლიქტი მოუვიდა.

ჟურნალისტმა ვიქტორ მალომ კატალონიელთა მწვრთნელს ჰკითხა:

– გუნდის ფორმაზე ფუნქციონალურმა მომზადებამ ხომ არ იმოქმედა უარყოფითად?

ბარსას მწვრთნელმა ჟურნალისტს ჰკითხა, თუ რა გვარი იყო და პასუხის მიღების შემდეგ (მალო ესპანურად ცუდს ნიშნავს) განაცხადა:

– სწორია. შემდეგი კითხვა!

ახლა ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია ლუის ენრიკეს საკითხზე იმსჯელებს.

ასევე პრობლემა აქვს ნეიმარს, რომელსაც იგივე მატჩის დასრულებისას მომხდარი ინციდენტის გამო, დისკვალიფიკაცია ემუქრება.

არბიტრის საფინალო სასტვენის შემდეგ, ღამურების ფეხბურთელი ანტონიო ბარაგანი გამარჯვებას თანაგუნდელებთან ერთად ზეიმობდა, როდესაც მასთან ნეიმარი მივიდა და სახეში ხელი გაარტყა.

ეპიზოდი მსაჯის ყურადღების მიღმა დარჩა და, შესაბამისად, ის მატჩის ოქმში არ მოხვდა. თუმცა, არაა გამორიცხული, სადისციპლინო კომიტეტმა ვიდეოჩანაწერი მაინც შეისწავლოს.

# გიორგი ასანიძე: „რიოდან ოქრო უნდა ჩამოვიტანოთ“



ქართველმა ძალოსნებმა ნორვეგიის ქალაქ ფიორდეში ბოლო დღეს ოქრო-ვერცხლის მედალი აიღეს, რამაც ოლიმპიადის წინ კარგი განწყობა შეგვიქმნა. ლაშა ტალახაძემ ისეთი უპირატესობით მოიგო, მისგან იგივეს რიოშიც ველით. მედლებისთვის იბრძოლებს ანასტასია გოტფრიდიც.

ნორვეგიიდან დაბრუნებულ ნაკრების მთავარ მწვრთნელ გიორგი ასანიძეს აეროპორტში ვესაუბრეთ.

**გიორგი ასანიძე:**

– ეს იყო პირველი მთავარი ტესტი რიოს ოლიმპიადის წინ. ამიტომ ამ ეტაპზე სპორტსმენთა მომზადების დონე და გუნდის საერთო მდგომარეობა უფრო გვაინტერესებდა, ვიდრე მედლები. რამდენიმე ათლეტმა თავისი შესაძლებლობები ბოლომდე ვერ გამოავლინა, მაგრამ ნაკრების გამოსვლით უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. გუნდური მე-5 ადგილი დავიკავეთ. რაც მთავარია, ამ შეჯიბრებაზე ჩვენი მზადების ბევრი პლუსი და მინუსი დავინახე, რომლებზეც ყურადღებას აუცილებლად გავამახვილებთ და მის აღმოფხვრას შევეცდებით.

***– ლაშა ტალახაძემ დიდი უპირატესობით მოიგო, თუმცა იგრძნობოდა, რომ ეს არ იყო მისი მაქსიმუმი და კიდევ ჰქონდა მომატების საშუალება.***

– ლაშამ ფენომენალური შედეგი აჩვენა: ევროპის რეკორდი გააუმჯობესა ატაცში, ხოლო ორჭიდში თავის საუკეთესო მაჩვენებელს გადააჭარბა. აქედან გამომდინარე, რიოს ოლიმპიადაზე მისი ფავორიტობა უფრო გამოიკვეთა. ლაშას ნებისმიერი ხარისხის ოლიმპიური მედლისთვის ბრძოლა შეუძლია, მაგრამ გულშემატკივარს მხოლოდ ოქრო უნდა. ამიტომაც ვეცდებით, ზუსტად ის მედალი ავიღოთ, რასაც ქართველი გულშემატკივრები ითხოვენ. რიოში ლაშას საკმაოდ ძლიერი კონკურენტები ეყოლება, მაგრამ ამ ევროპის ჩემპიონატმა მას თავდაჯერება შემატა.

***– ატაცში ევროპის რეკორდი იოლად დაძლია, ხომ არ შეიძლებოდა კიდევ 2 კილოგრამის მომატება და მსოფლიოს რეკორდზე შეტევა?***

– ამ ეტაპზე რეკორდების დამყარება ჩვენი თვითმიზანი არ იყო. მთავარია, რაც შეიძლება მაღალ შედეგებზე გავიდეთ. იქ კი რეკორდებიცაა და წარმატებებიც. ლაშასთვის ყველა წონას, რომელსაც იგი დაძლევს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ოლიმპიადისთვის, რადგან რწმენის უფრო მაღალი ხარისხი ექნება.

***– ანასტასია გოტფრიდმა ყველა მოძრაობაში ვერცხლი აიღო.***

– ანასტასიასაც მინდა წარმატება მივულოცო. წელიწადზე მეტია, იგი საქართველოს სახელით ასპარეზობს, ნორვეგიაში ღირსეულად გაისარჯა და 3 ვერცხლის მედალი დაიმსახურა. მართალია, თავისივე შედეგებზე დაბალი მაჩვენებელი ჰქონდა, მაგრამ ოლიმპიური თამაშებისთვის საშეჯიბრო გამოცდილება მიიღო.

***– ჯერ კიდევ გადასაწყვეტია ოლიმპიური გუნდის შემადგენლობა. ფაქტობრივად, მხოლოდ ტალახაძე და გოტფრიდი არიან უკონკურენციოდ.***

– ამ ევროპის ჩემპიონატით არ მინდა ნაჩქარევი დასკვნა გავაკეთო. წინ გვაქვს საქართველოს ჩემპიონატი. მინდა, რომ თანაბარ პირობებში იყოს ყველა ის სპორტსმენი, რომლებსაც ოლიმპიურ გუნდში მოხვედრის შანსი აქვთ. მართალია, დღევანდელი მონაცემებით ორი გამოკვეთილი ლიდერია, მაგრამ ეს სპორტია და გამორიცხული არაფერია, ამიტომ ნუ ვიჩქარებთ – უმჯობესია, ეროვნულ ჩემპიონატს დაველოდოთ და დასკვნები მერე გამოვიტანოთ.

ახლა ერთი კვირის განმავლობაში განსატვირთი ვარჯიშები გვექნება. მერე ბაზალეთზე გავაგრძელებთ მომზადებას.

# მასიმო მაროტა: „ყველაფერი უნდა მოვიგოთ“



ტურინის იუვენტუსის მორიგ ჩემპიონობას წინ აღარაფერი უდგას. კლუბმა ბოლო 23 ტურში ფენომენალური შედეგი აჩვენა – 22 მოგება და მხოლოდ 1 ფრე. ახლა ტურინული გუნდი მეორეადგილოსან ნაპოლის 9 ქულით უსწრებს და ჩემპიონობას მალე გაიფორმებს.

წლევანდელი შედეგი გასაგებია, მაგრამ რა იქნება მომავალში, არავინ იცის, რადგან „ბებერი ქალბატონის“ მწვრთნელის, მასიმილიანო ალეგრისა და რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის გადაბირება უკვე სურთ ევროპულ მდიდარ კლუბებს. ერთ-ერთი მათგანი, ცხადია, პოლ პოგბაა. თუმცა, კლუბის პრეზიდენტი მასიმო მაროტა ყველა მათგანის შენარჩუნებას აპირებს, პლუს გუნდის კიდევ უფრო გაძლიერებას გეგმავს.

**მასიმო მაროტა:**

– პოლ პოგბასთან დაკავშირებით ახალი არაფერია. ჩვენ მასთან უკვე დიდი ხანია, ყველაფერი გავარკვიეთ. ფრანგი იუვენტუსის ფეხბურთელია და ჩვენ მის გაყიდვას არ ვაპირებთ.

ალეგრი გამარჯვებული მენტალიტეტის მქონე სპეციალისტია, რომელთანაც ახალ კონტრაქტს მალე გავაფორმებთ. საერთოდაც, ჩვენ მუდამ მხარს ვუჭერთ მწვრთნელს. ასე იყო კონტეს ეპოქაშიც და ასე იქნება დღეისათვისაც. ჩვენი მიზანია ყველა ტურნირზე გამარჯვებისთვის ვიბრძოლოთ.

კლუბმა ფინანსური აღმასვლა 90 მილიონიანი გარღვევით დაიწყო, დღეისთვის კი სიტუაცია რადიკალურად განსხვავებულია. ჩვენი ცხოვრების სტილი მარტივია – ვცოცხლობთ გამარჯვებისთვის. თუ ვმარცხდებით, სხვისკენ ხელს არასოდეს ვიშვერთ. ვუყურებთ საკუთარ შეცდომებს და ერთიანი ძალებით ვცდილობთ მათ გამოსწორებას.

იუვენტუსს საფრანგეთის ჩემპიონატში მოთამაშე 2 ფეხბურთელის გადაბირება სურს – პსჟ-დან ედინსონ კავანის, ხოლო ლიონიდან – ნაბილ ფეკირის.

– კავანი ტოპ ფეხბურთელია. ჩვენი მიზანია კონკურენტუნარიანი გუნდის შექმნა, რომელიც არა მხოლოდ იტალიაში, არამედ მთელს ევროპაში მოწინავე იქნება. დღეისათვის, კავანი პსჟ-ს ფეხბურთელია, მაგრამ არ დაგიმალავთ, იუვესთვის იგი საინტერესო ფიგურაა, – ასეთია მაროტას მოსაზრება.

ტურინულ კლუბში გადმოსვლის სურვილი აქვს **ფეკირსაც:**

– არის ოთხი გუნდი, რომლებზედაც ვოცნებობ – ბარსელონა, პსჟ, იუვენტუსი და ბაიერნი. ვნახოთ, თუ როგორ განვითარდება მოვლენები, – აცხადებს ფეხბურთელი.

# რეალს პოჩეტინო სურს



მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს მადრიდის რეალის საქმეები ძალიან კარგად მიდის, ზინედინ ზიდანი ფეხბურთელებს მოუწოდებს, რომ ეიფორიაში არ ჩავარდნენ.

ფეხბურთის ფრანგი სპეციალისტი ფეხბურთელებს უხსნის, რომ გუნდს მოგებული არაფერი აქვს. ჯერ ბარსელონასთან 1 ქულიანი ჩამორჩენაა და მეტი შანსი მეტოქეს აქვს, აქედან გამომდინარე, საჭიროა მაქსიმალური მობილიზება და ყველა შეხვედრის მოგება.

მართალია რეალი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში იმყოფება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემპიონის ტიტული განაღდებულია, ამიტომ კოლექტივი ეიფორიაში არ უნდა ჩავარდეს და ყველა შეხვედრისთვის მაქსიმალური კონცენტრაცია შეინარჩუნოს.

ზიზუმ ფეხბურთელებს უკვე მიმართა და საკუთარი გეგმები სრულყოფილად გააცნო.

და მაინც, ევროპულ გამოცემებზე დაყრდნობით, მადრიდის რეალის ხელმძღვანელობა ტოტენჰემის თავკაცის, მაურისიო პოჩეტინოს კანდიდატურას მაინც განიხილავს.

მაურისიოს პრემიერლიგაში ბრწყინვალე შედეგები აქვს და ჩემპიონობის შანსი ჯერ არ დაუკარგავს. პოჩეტინომ ტოტენჰემში ბრწყინვალე ფილოსოფია დანერგა და ფეხბურთელებს საკუთარი შესაძლებლობები წარმოაჩენინა.

კულუარული ინფორმაციით, ფლორენტინო პერესს ახალგაზრდა სპეციალისტი ძალიან მოსწონს და რეალის სათავეში მოსვლის ერთ-ერთ კანდიდატად განიხილავს.

თუ ზინედინ ზიდანის თანამდებობას ვერ შეინარჩუნებს, მაურისიოს ესპანეთის დედაქალაქში ჩასვლის შანსი გაიზრდება.

## შედეგები

**18 აპრილი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

სტოკი-ტოტენჰემი ........................ 0:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლესტერი | 34 | 21 | 10 | 3 | 59-33 | 73 |
| 2.ტოტენჰემი | 34 | 19 | 11 | 4 | 64-25 | 68 |
| 3.სიტი | 33 | 18 | 6 | 9 | 61-33 | 60 |
| 4.არსენალი | 33 | 17 | 9 | 7 | 56-34 | 60 |
| 5.მანჩესტერი | 33 | 16 | 8 | 9 | 40-30 | 56 |
| 6.ვესტ ჰემი | 33 | 13 | 14 | 6 | 54-42 | 53 |
| 7.საუთჰემპტონი | 34 | 14 | 9 | 11 | 45-35 | 51 |
| 8.ლივერპული | 32 | 14 | 9 | 9 | 52-43 | 51 |
| 9.სტოკი | 34 | 13 | 8 | 13 | 37-47 | 47 |
| 10.ჩელსი | 33 | 11 | 11 | 11 | 49-45 | 44 |
| 11.ევერტონი | 33 | 9 | 14 | 10 | 53-44 | 41 |
| 12.უოტფორდი | 33 | 11 | 8 | 14 | 32-37 | 41 |
| 13.ბორნმუთი | 34 | 11 | 8 | 15 | 41-57 | 41 |
| 14.ვესტ ბრომვიჩი | 33 | 10 | 10 | 13 | 31-40 | 40 |
| 15.სუონსი | 34 | 10 | 10 | 14 | 34-45 | 40 |
| 16.კრ.პალასი | 34 | 10 | 9 | 15 | 36-43 | 39 |
| 17.ნორვიჩი | 34 | 8 | 7 | 19 | 35-60 | 31 |
| 18.სანდერლენდი | 33 | 7 | 9 | 17 | 39-57 | 30 |
| 19.ნიუკასლი | 33 | 7 | 7 | 19 | 35-61 | 28 |
| 20.ასტონ ვილა | 34 | 3 | 7 | 24 | 23-65 | 16 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ბრაუნშვაიგი-ფრაიბურგი ............. 2:2

**იტალია. სერია ბ**

ჩეზენა-კროტონე ........................... 2:1

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

დიჟონი-პარიზი ............................ 3:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ბრაგა-ტონდელა ............................ 3:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

გენჩლერი-ტრაბზონი .................... 3:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ურალი-რუბინი ............................. 0:1

**დანია. სუპერლიგა**

ესბიერგი-მიდტიულანდი ............... 0:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

ელფსბორგი-მალმიო ..................... 0:1

სუნდსვალდი-იორენრო ................. 3:1

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ჰჯკ-სჯკ ........................................ 2:1

ინტერი-კუუპიო ............................ 3:1

ლახტი-ჰიფკი ................................ 2:2

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# მაია ასათიანი: „არ დაიღალეთ ლანდების დევნით?“

ერთი კვირაა მაია ასათიანი და მისი ბოლო გადაცემა იოსებ სტალინზე აქტიური განხილვის საგანია. გადაცემის წამყვანს აკრიტიკებს ყველა, ვისაც არ ეზარება. მაია ასათიანი კიდევ ერთ განცხადებას აკეთებს და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებს განმარტავს:



1. გადაცემაში საპატრიარქოს პოზიცია იყო! ოფიციალური კომენტარიც! იმაზეც, რომ მეუფე ილარიონი განკვეთილია და იმაზეც, რომ სტალინის წმინდანად შერაცხვას საპატრიარქო არ ითხოვს!

2. ადამიანის დისკრედიტაცია, თუ მას ფსიქიკური აშლილობა ჰქონდა, ადამიანის უფლებათა მსოფლიო კონვენციას ეწინააღმდეგება, ანუ არ მოიწვიო, არ დაპატიჟო, არ ჰკითხო იმიტომ, რომ 30 წლის წინ ეს დიაგნოზი ჰქონდა, საბჭოთა მიდგომა და დისკრედიტაციაა! ამ ლოგიკით რამდენიმე საკმაოდ ცნობილი ადამიანიც არასოდეს უნდა ჩნდებოდეს ეკრანზე.

3. გადაცემაში ნაჩვენები იყო კადრები „წმინდა იოსების“ ე.წ „რელიგიური რიტუალის“, რომელშიც 100-ზე მეტი ადამიანი, მათ შორის ახალგაზრდებიც მონაწილეობენ. გადაცემა სწორედ ამ პრობლემას ეძღვნებოდა!

4 . არანაირ დაცინვას ადგილი არ ჰქონია! რაშიც შეგიძლიათ თავად დარწმუნდეთ, თუ გადაცემის ამ მონაკვეთს ნახავთ! დამცინავი და შეურაცხმყოფელი კომენტარები ამ ადამიანის მისამართით იყო თქვენგან, სოც. ქსელში!

კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ თემა დროულად და სწორად იყო შერჩეული, ერთი კვირაა სტალინზე მსჯელობთ! მეგობრებო, არ დაიღალეთ ლანდების დევნით?

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ვლადიმერ პაპავა: „რექტორის არჩევნები ჩარევის გარეშე არ ჩაივლის“



– თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რექტორის არჩევნები ხელისუფლების ჩარევის გარეშე ვერ ჩაივლის და ეს ქვეყანაში დაბალი პოლიტიკური კულტურის გამოა, – განაცხადა თსუ-ს რექტორმა ვლადიმერ პაპავამ ჟურნალისტების კითხვის საპასუხოდ თავისი სამწლიანი საქმიანობის შეჯამების შემდეგ.

როგორც პაპავამ აღნიშნა, გასაკვირი არ არის, რომ ქვეყანაში დაბალი პოლიტიკური კულტურაა, რადგანაც სახელმწიფომ მხოლოდ 25 წელია, რაც დამოუკიდებლობა მოიპოვა და ქვეყანა მხოლოდ ახლა სწავლობს არჩევნების ჩატარებას.

**ლადო პაპავა:**

– რექტორის არჩევნები იმიტომ არ ჩაივლის ჩარევის გარეშე, რომ დაინტერესება უნივერსიტეტის ბედით არის საკმაოდ დიდი, ხოლო პოლიტიკური კულტურა ქვეყანაში დაბალია. ეს იმიტომაა, რომ მხოლოდ 25 წელია დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ და აქედან ძლივს ვისწავლეთ და მხოლოდ ერთხელ ჩავატარეთ მშვიდობიანად საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები. ამასთან, ჩემი ოცნებაა, რომ ასევე მშვიდობიანად ჩატარდეს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები. როცა ქვეყანაში დაბალი პოლიტიკური კულტურაა, ნუ გაგვიკვირდება ნურაფერი და სწორედ ამიტომ ვაკეთებ ამ დასკვნას.

**ინტერპრესნიუსი**

# შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, უწყების ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად 1973 წელს დაბადებული დავით ნ. ნარკოდანაშაულისთვის თბილისში დააკავეს.

სამინისტროს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა დაკავებულისგან 2,54 გრ მარიხუანა, 13.7375 გრ ბუპრენორფინის შემცველი 35 აბი და 10 შეკვრად დაფასოებული 2.3030 გრ მეტადონი ამოიღეს.

შსს-ს ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა აღნიშნული ნარკოტიკული საშუალებები კიევში შეიძინა და საქართველოში სომხეთიდან უკანონოდ შემოიტანა.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე (საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით) მიმდინარეობს.

**ინტერპრესნიუსი**

# შექსპირის მსოფლიო იუბილეს საქართველოც აღნიშნავს




2016 წლის 23 აპრილს უილიამ შექსპირის გარდაცვალებიდან 400 წელი სრულდება. შექსპირის საიუბილეო წელს მსოფლიოს ინტელექტუალური და სახელოვნებო სამყარო სხვადასხვა ღონისძიებებითა თუ წარმოდგენებით აღნიშნავს.

რუსთაველის თეატრმა გიორგი ალექსიძის სახელობის თანამედროვე ქორეოგრაფიის განვითარების ფონდთან ერთად გადაწყვიტა შექსპირის საიუბილეო თარიღს განსაკუთრებულად შეხვდეს და ქართული თეატრის შექსპირული დადგმების მდიდარი ტრადიციების ფონზე, შექსპირი ახლებური ინტერპრეტაციითა და ახლებური თეატრალური ფორმით წარმოადგინოს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# უზნაძემ ევროპირველობის შემადგენლობა დაასახელა



21-24 აპრილს რუსეთის ქალაქი ყაზანი ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი უზნაძემ ევროპის ჩემპიონატზე წასაყვან შემადგენლობაში ყველა უძლიერესი მოჭიდავე შეიყვანა. 2 წონაში გასარკვევია თუ რომელი ძიუდოისტი გაემგზავრება რიოში და უზნაძემაც სწორედ ამ წონებში იახლა 2-2 სპორტსმენი.

საქართველოს ვაჟთა ნაკრების შემადგენლობა ასეთია: ამირან პაპინაშვილი (60კგ); ვაჟა მარგველაშვილი (66); ნუგზარ ტატალაშვილი, ლაშა შავდათუაშვილი (73); ავთანდილ ჭრიკიშვილი (81); ვარლამ ლიპარტელიანი (90); ბექა ღვინიაშვილი (100); ადამ ოქრუაშვილი, ლევან მატიაშვილი (მძიმე);

პირადი პირველობის გარდა გაიმართება ევროპის გუნდური ჩემპიონატიც, რომელშიც ნაკრებს დაემატებიან გიორგი პაპუნაშვილი (81კგ) და პაატა ღვინიაშვილი (90კგ).

პარალელურად გაიმართება ქალთა ევროპირველობაც, სადაც 4 ქართველი გოგონა გავა ტატამზე: ოლგა ალადოშვილი (48); მარიამ ჯანაშვილი (52); სალომე აბაშიძე (57); ესტერ სტამი (70).

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**ბუხუტი ჩახუნაშვილს**
**ვულოცავთ დაბადების 80 წლის იუბილეს.**
**გისურვებთ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს.**
**თუ ქართველ მწერლებსა და პოეტებს დაუწერიათ ვაჟკაცებზე, მათი განსახიერება თქვენ ხართ.**
*თემურ ჭელიძე*

# ასტროპროგნოზი
## 20 აპრილისთვის



**ვერძი** – დღეს კარგი იქნება ფიზიკური დატვირთვა, ცურვა, ფიტნესი. აქტიურად დაისვენეთ. პარტნიორთან ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. ახალი ნაცნობობა სასიამოვნო იქნება. **კურო** – დაისვენეთ, გაერთეთ. უმჯობესია, თუ ეს დასვენება ფიზიკურ დატვირთვასთან იქნება დაკავშირებული. **ტყუპები** – დღეს აკრძალულია ყოველგვარი ბიზნესსაქმიანობა, კომერციული გარიგებები. პროფესიულ სფეროში სიძნელეები იჩენს თავს. დღის მეორე ნახევარში საშინაო საქმეები მოაგვარეთ. **კირჩხიბი** – გარშემომყოფებთან პრობლემები გექმნებათ. თუ კომპრომისზე არ წახვალთ, სიტუაცია დაიძაბება. ემოციები მაქსიმალურად აკონტროლეთ. **ლომი** – დღეს მამაკაცებს საშუალება გეძლევათ, მთელი თქვენი ტალანტი და შესაძლებლობები მაქსიმალურად წარმოაჩინოთ. გამორიცხული არ არის ახალი გატაცება. შესაძლოა, სასარგებლო წინადადებაც შემოგთავაზონ. **ქალწული** – აქტიურობა და კომუნიკაბელურობა სასიკეთო შედეგს გამოიღებს. ახალ შემოთავაზებებზე უარი არ თქვათ. **სასწორი** – კარგი დღეა მსხვილი შენაძენებისთვის, საქმიანი მოლაპარაკებებისთვის. პლანეტები გირჩევენ, პარტნიორს ბრმად არ მიენდოთ. **მორიელი** – ჰარმონიული და ოპტიმისტური დღეა. გარშემომყოფებს თქვენს აზრს თავს ნუ მოახვევთ. ნებისმიერი შესაძლებლობა გამოიყენეთ, რათა ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოთ. **მშვილდოსანი** – საყიდლებზე წასასვლელად შესაფერისი დღეა, ოღონდ ბევრ ფულს ნუ დახარჯავთ, მცირედით დაკმაყოფილდით. პირად ცხოვრებაში სპონტანურ გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ. **თხის რქა** – განეწყვეთ რომანტიკული ურთიერთობებისათვის. ოჯახის წევრებს თქვენი სითბო და ყურადღება უშურველად გაუნაწილეთ. **მერწყული** – სასიცოცხლო პოტენციალი მაღლდება. დაკავდით სპორტით, ფიზიკური ვარჯიშები გუნება-განწყობას საგრძნობლად გამოგიკეთებთ. ნებისმიერი ახალი შემოთავაზება გააკონტროლეთ. **თევზები** – წარმატებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევთ, თუ ილუზიებს არ აჰყვებით და მიწაზე დაეშვებით. რეალობის გათვალისწინებით იმოქმედეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. მხარე გერმანიაში; 2. რომელიმე სიტყვის საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვა; 3. სამთო-სათხილამურო სპორტის ცენტრი სლოვენიაში; 5. მიუნხენში განთავსებული მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ლუდის ბარი; 7. ესპანელი მხატვარი; 9. წყალქვეშა ნავის ძველებური სახელწოდება; 13. შავი ზღვის ზვიგენი; 15. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 16. სურნელოვანი პარფიუმერიული სითხე; 18. გარეული ცხოველი, აშშ-ს რესპუბლიკური პარტიის სიმბოლო.

**თარაზულად**: 4. ქართველ მამაკაცთა ძველებური რბილი, ტყავისძირიანი ფეხსაცმელი; 6. ფრანგი მწერალი ქალის ჟორჟ სანდის რომანი; 8. კონგრესის შენობა ვაშინგტონში; 10. მოყვარული მოტოციკლეტისტი; 11. ფეხბურთელთა სპორტული ფეხსაცმელი; 12. ქართული ნავთობკომპანია; 14. კუთხე საქართველოში; 17. ხის ზედა განტოტვილი ნაწილი; 19. მუსლიმ მამაკაცთა თავსაბურველი; 20. ბროწეულის წვენისგან მომზადებული საწებელი; 21. ადამიანის გარემომცველი ბიოველი; 22. ფრანგული ვაშლის არაყი; 23. გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბიშკეკი; 2. ქაშანური; 3. ყარაია; 4. კენზო; 5. დინასტია; 8. მაყრიონი; 12. შალე; 13. ენდშპილი; 14. დიდუბე; 16. სიმინდი; 18. „ბორდო“; 20. ტუში.

**თარაზულად:** 6. ჩიხირთმა; 7. დრაიზერი; 8. მახათა; 9. „მედეა“; 10. „მუკუზანი“; 11. პრიშტინა; 15. ინსინუაცია; 17. „ბენტლი“; 19. ბაქტრიანი; 21. „დიადორა“; 22. მიკოლოგია; 23. კიშლაკი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ლებარდე; 2. პოტომაკი; 3. სიცილია; 5. კიშინოვი; 7. გერგეტი; 9. პლაცკარტი; 13. „სანტოსი“; 15. აიაზმა; 16. მიქლიო; 18. უფიცა.

**თარაზულად:** 4. რედიკული; 6. პრობაცია; 8. მარკშეიდერი; 10. ნიგერია; 11. აბიო; 12. უტზონი; 14. იარდი; 17. კაშია; 19, ვარდი; 20. ალგოლოგი; 21. იაგო; 22. ბარბაროსი; 23. „ბაკარდი“.



# რაზე მიგვანიშნებს ჩვილი ბავშვის ყვირილი?

**ჩვილი ბავშვი ხშირად ყვირილით გამოხატავს ორგანიზმში დისკომფორტის შეგრძნებას. ჩვენ უნდა შევძლოთ ამ ყვირილის სწორი შეფასება და დროულად დავეხმაროთ პატარას. არსებობს ყვირილის რამდენიმე ვარიანტი.**

1. დაბადების დროს ხმამაღლა ყვირილი ახასიათებს ჯანსაღ ახალშობილს. ჩვეულებრივ, მას თან ახლავს პირველი ღრმა ჩასუნთქვა, რომელიც კარგად შლის შეკუმშულ ფილტვებს. ახალშობილის სუსტი წრიპინა ყვირილი ან სიჩუმე გვაიძულებს ვიფიქროთ მის საერთო სისუსტეზე (სუსტშობილობა, დღენაკლულობა) ან მნიშვნელოვან ტრავმაზე მშობიარობის დროს.

2. ჩვილი და უფროსი ბავშვების ხმამაღალი და ენერგიული ყვირილი უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ბავშვის ღრმა ჩასუნთქვას არ ახლავს ტკივილის შეგრძნება, მაშასადამე, უმეტეს შემთხვევაში, თავიდანვე შეიძლება გამოირიცხოს პლევრის დაზიანება, პლევროპნევმონია და პერიტონიტი.

3. ჯანსაღი ძუძუთა ბავშვი, თუ ის წესიერადაა ჩაცმული, სათანადოდ მოვლილია და წესიერ კვებაზეა, ჩვეულებრივ კარგ გუნებაზეა და არასდროს დიდხანს და უმიზეზოდ არ ყვირის. ამ ასაკის ბავშვის ხანგრძლივი, ხმამაღალი ყვირილი მოწმობს მის არასასიამოვნო სუბიექტურ შეგრძნებას. ყვირილის მიზეზის დადგენა ძნელი არ არის. უნდა გამოირიცხოს ზედმეტად მოჭერილი ტანსაცმელი ან სახვევი, საწოლში ან სახვევში მოხვედრილი მჩხვლეტავი ან დამწოლი საგნები. ანდა დარწმუნდით, რომ ბავშვს არ აწუხებს რწყილი. ბავშვს უნდა გამოეცვალოს სველი საფენები და სხვ.



4. ჩვილი ბავშვის უსიამოვნო სუბიექტური შეგრძნებანი მეტწილად დაკავშირებულია მეტეორიზმთან და ნაწლავების ჭვალთან. ეს ტკივილები პერიოდული, შეტევითი ხასიათისაა; შეტევათა შუალედში ბავშვი კარგად გრძნობს თავს, რის გამოც მის ყვირილსაც ასევე შეტევითი ხასიათი აქვს, უეცრად იწყება და ასევე უეცრად წყდება. ტკივილი და ბავშვის ყვირილიც ძლიერდება პალპაციის (ხელით გასინჯვის) დროს და სუსტდება, როდესაც ბავშვს მუცელზე თბილს მიადებენ. ჩვეულებრივი დისპეფსიური მოვლენების არსებობა მნიშვნელოვნად აადვილებს ყვირილის მიზეზის გამოცნობას. ასეთივე პერიოდულად განმეორებული ყვირილის შეტევები აღინიშნება ბავშვებში ნაწლავის გადახლართვის დაწყების პირველ საათებში.

5. რამდენადმე სხვა ხასიათისაა ბავშვის ყვირილი, დაკავშირებული ტკივილის შეგრძნებასთან შუა ყურის ანთების დროს. წოვითი და ყლაპვითი მოძრაობის დროს ტკივილი ძლიერდება, ამიტომ, რამდენიმე წოვითი მოძრაობის შემდეგ, ბავშვი თავს ანებებს ძუძუს წოვას და იწყებს ყვირილს. ყურის ნიჟარის ზევით აწევა და უკან გადაწევა ბავშვში იწვევს ტკივილს, რის გამოც ის თავს უკან სწევს და ყვირილს იწყებს. სითბო ხშირად კი არ ამშვიდებს, პირიქით, აძლიერებს ტკივილს. ბავშვი რამდენიმე ხნით მშვიდდება, თუ ყურში ჩავუწვეთებთ შემთბარ სპირტს ან შემთბარ ქაფურის ზეთს.

6. ყვირილი მოშარდვის დროს შეიძლება იყოს ფიმოზის ნიშანი ვაჟებში, ვულვიტისა – ქალებში.

7. ბავშვის ყვირილი დეფეკაციის წინ ან მის დროს, ხშირად შიშია ამ აქტის დროს, გვაფიქრებინებს შეკრულობაზე, ნახეთქებსა და დაზიანების არსებობაზე ანუსის მიდამოში.

8. მონოტონური ყვირილი, ხანდახან უფრო მკვეთრი წამოყვირებით, ქალასშიდა წნევის მომატების დროს ვლინდება.

9. ამ სახეთა ყვირილისგან უნდა ვარჩევდეთ ბავშვის ყვირილს შიმშილისგან 1 წლის განმავლობაში. ასეთ ბავშვს როგორც კი საკვებს მივცემთ, ჩუმდება, მშვიდდება. ბავშვები, რომლებსაც ხანგრძლივად უკმარი კვება აქვთ, ყვირიან თავგამოდებით, პირში იჩრიან პაწია მუშტებს, ცუდად იტანენ შუალედებს ჭამათა შორის და იშვიათად შარდავენ. მათ საკმაოდ ხშირად აღენიშნებათ შეკრულობა ან მშიერი კუჭის მოქმედება. ანამნეზის მონაცემებით, დედის ძუძუს გასინჯვით და ბავშვის საკონტროლო აწონვით ადვილად ხერხდება ყვირილის მიზეზის გამორკვევა.

# თუ თმა გამოგიშრათ



დაბანა ერთ-ერთი მთავარი პროცედურაა თმის მოვლისათვის. თმის სწორად დაბანა აუმჯობესებს კანის სისხლის მიმოქცევას. ხშირად და შეიძლება სისტემატიურად თავის დასაბანად იყენებთ ცხელ წყალს და ჩვეულებრივ შამპუნს? ამის შემდეგ თმა და თავის კანი მშრალი, თმები დაბინდული და სუსტი ხდება, თმის ბოლოები ორად იყოფა, იმტვრევიან, წარმოიშობა ქერტლი და თავის კანის ქავილი. გარდა ამისა, ცხელი წყლისგან ძლიერდება თმების ცხიმიანობა.

ყველაზე დადებითი საშუალება თმის დასაბანად წვიმის, თოვლის ან სასიამოვნოდ თბილი (და არა ძალიან ცხელი) წყალია. ხისტ წყალს არბილებენ ხანგრძლივი დუღილით და ორი ჩაის კოვზი ნიშადურის სპირტის, ორი ჩაის კოვზი გლიცერინის და ორი ლიტრი წყლის ნაერთით.

კარგია თმის გაშლა ორთქლზე, სპეციალური თხიერი ზეთის წასმა, შემდეგ კი პირსახოცით შემშრალება. დადებით შედეგს იძლევა დაბანის შემდეგ გვირილის, ჭინჭრის, ოროვანდის არყის ხის ფოთლების, ცაცხვის ყვავილის ნახარშის გადავლება (ორი სუფრის კოვზი დაჭრილი ბალახი ჭიქა წყალზე).

ცხიმიან თმაზე შეგიძლიათ გადაივლოთ მაგარი ჩაის ნაყენი ან მუხის ფესვების, ჭინჭრის და კრაზანას ნახარში. მშრალ თმაზე ბაბუაწვერას, სალბის, მრავალძარღვას ნახარშის გადავლებას გირჩევთ (ერთი სუფრის კოვზი წვრილად დაჭრილი ბალახეული, ერთი ჭიქა წყალზე).

თუ თმის შეღებვისას შეცდომის ან ხანგრძლივად მზეზე ყოფნის გამო გამოიფიტა თმა, ნუ დაღონდებით, საქმის გამოსწორება შეიძლება, მიიღეთ ცე ვიტამინი, თმის ბოლოები ფრთხილად შეიჭერით, თავის კანზე ყოველდღიურად შეიზილეთ ძირკავა და ერთი ჩაის კოვზი აბუსალათინის ზეთი და ორი ჩაის კოვზი ლიმონის წვენის ან არყის ხის ფოთლების ნაერთი. თუ ხვალისთვის გადაწყვიტეთ თავის დაბანა, დღეს საღამოს გაიკეთეთ ასეთი შემადგენლობის ნაერთი: სუფრის კოვზი მაიონეზი, ჩაის კოვზი თაფლი და ორი კბილი ნიორი.

დაბანის შემდეგ თმებზე გადაივლეთ ჯინჭრის ნაყენი (500 გრამი ჯინჭარი მოხარშეთ ნახევარ ლიტრ წყალში). ეს მშრალი თმებისთვის, ხოლო ცხიმიანი თმის შემთხვევაში დაბანამდე 30 წუთით ადრე თავზე შეიზილეთ ჩაის კოვზი თაფლი, ამდენივე რაოდენობის ალოეს, ლიმონის წვენისა და ერთი კბილი ნიორის, კვერცხის გულის ნარევი. ცხიმიან სებორეას ასე უმკურნალეთ: ბაბუაწვერას, ცირცელის და პიტნის ნედლი ფოთლები დასრისეთ და შეიზილეთ თავის კანზე. ქერტლის საწინააღმდეგოდ გამოიყენეთ სპეციალური კრემები და სითხეები.



# მკურნალი მცენარეები



**ბეგქონდარა** – შესანიშნავი თაფლოვანი მცენარეა, ამიტომ მის გარშემო ყოველთვის ბევრი პეპელა და ფუტკარია. ეს გარემოება შეუმჩნეველი არ დარჩენია ძველ ბერძნებს. მთა ქიმეტორი ბერძნებში ცნობილი იყო შესანიშნავი მარმარილოთი და თაფლით. თაფლისთვის მტვერს ფუტკრები ბეგქონდარაზე აგროვებდნენ. ამ შეუხედავ მცენარეს თაყვანს სცემდნენ, როგორც შრომისმოყვარეობის სიმბოლოს. ფუტკრებით გარშემორტყმული ბეგქონდარას ტოტები რაინდების შარფების ყველაზე გავრცელებული სამკაული იყო.

ბეგქონდარა განეკუთვნება ქუჩოსანთა ოჯახს. იგი მრავალწლიანი ნახევარბუჩქია, ღერო მიწაზე გართხმული, დატოტვილი, ქვედა ნაწილში გახევებულია, მოწითალო-მორუხო, მრავალრიცხოვანი შეფოთლილი და ყვავილიანი მოკლე ტოტით. ფოთლები წვრილია, ოვალური, მოკლეყუნწიანი, დაფარულია ლუპაში შესამჩნევი ღრმულებით, რომლებშიც მოთავსებულია ჯირკვლები ეთერზეთით.

მცენარე ძალიან არომატულია. ყვავილობს თითქმის მთელი ზაფხული. იგი ხარობს ღია ქვიშიან ადგილებში, მშრალ ფიჭვნარში, განსაკუთრებით ბევრია სტეპებში. ცნობილია ბეგქონდარას მსგავსი მრავალი სახეობის მცენარე, მაგრამ მათი ქიმიური შემადგენლობა არ არის საკმარისად შესწავლილი.

ნედლეულად აგროვებენ ღეროებს ტოტებიანად ყვავილობის პერიოდში. გაშრობის შემდეგ ღეროებს აცილებენ ფოთლებს ან ამტვრევენ და ცხრილავენ რკინის ბადიან საცერში. ბეგქონდარას ბალახი შეიცავს 0,5-1% ეთერზეთს. ეთერზეთი ძირითადად შედგება არომატული ნახშირწყალბადის თიმოლისაგან. ეთერზეთის სამედიცინო გამოყენება განპირობებულია ფენოლების (60%), კრისტალური თიმოლისა და თხევადი კარვაკროლის არსებობით. თიმოლს აქვს ძლიერი ბაქტეროციდული მოქმედება. ბეგქონდარას შემადგენლობაში შედის მწარე სათრიმლავი ნივთიერებაც.

ბეგქონდარას იყენებენ როგორც ამოსახველებელ, ტკივილგამაყუჩებელ საშუალებას, რადიკულიტებისა და ნევრიტის დროს ნახშირისა და ექსტრაქტების სახით. ბეგქონდარას ექსტრაქტი შაქართან ერთად შედის ყივანახველის საწინააღმდეგო პრეპარატში.

ხალხურ მედიცინაში ბეგქონდარას ნახარშს იყენებენ საჭმლის მონელების პროცესის დარღვევის, ნაწლავების შებერვის, ხველის, მკერდის არეში ტკივილისა და უძილობის დროს. აგრეთვე, როგორც შარდმდენ და კუჭის გასამაგრებელ საშუალებას. გარეგანად ხმარობენ არომატიზირებული აბაზანების სახით ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული ტკივილების დროს, კომპრესებისა და საფენების სახით ჭრილობის შესახორცებლად და თვალის ტკივილის დროს. ფხვნილი გამოიყენება საყნოსავად გრძნობის დაკარგვისას.

ბეგქონდარას იცნობენ ძველ აღმოსავლეთშიც.

ავიცენა წერდა, რომ ძმარში მოხარშული და ვარდის ზეთში შერეული ბეგქონდარას ნაყენის თავის კანში შეზელვა შველის მეხსიერების დაკარგვისა და შეშლილობის დროს. გარდა ამისა, ბეგქონდარა ათავისუფლებს ქალს მკვდარი ნაყოფისაგან, ხელს უწყობს შარდის გამოყოფასა და მენსტრუაციას. ველური ბეგქონდარას ფოთლების საფენის შუბლზე და თავზე დადება აყუჩებს თავის ტკივილს.

❖ ❖ ❖

**შავი მოცხარი** – ხურტკმელისებრთა ოჯახის წარმომადგენელია. იგი 1.5 მ მდე სიმაღლის ბუჩქია, სურნელოვანი ფოთლებით, რომელთა ზედაპირი მუქი მწვანეა, ქვემოდან კი უფრო მკრთალი, ძარღვების გასწვრივ – ბუსუსიანი. ყვავილები მოწითალო რუხია, ნაყოფი – შავი, იშვიათად შავი მონაცრისფრო, მრგვალი ფორმისაა. ყვავის მაის ივნისში. ნაყოფი ივლის აგვისტოში მწიფდება.

შავი მოცხარის ნაყოფი შეიცავს 10–13% შაქრებს, პექტინურ ნივთიერებებს, თავისუფალ მჟავებს (ლიმონის, ვაშლის, ღვინის), მთრიმლავ და საღებავ ნივთიერებებს. ვიტამინებს. გამოყენება მურაბის, ხილფაფის, კისელის, კომპოტის, გამაგრილებელი სასმელების და ღვინის დასამზადებლად. ფოთლები და კვირტები შეიცავენ ეთერზეთებს და იხმარება ნაყენების და ლიქიორების წარმოებაში.



ფოთლები იხმარება ასევე ბურახის, სოკოების, კიტრის და პომიდვრის დამწნილებისას და არომატიზირებისათვის. შავი მოცხარის ნაყოფს იყენებენ აგრეთვე სისხლნაკლოვანების, მადის მოსაგვრელად, ხველების დროს.

შავი მოცხარის ნაყოფებისა და ფოთლების გამონახარშს იყენებენ ხველების, ჰიპერტონიის, რევმატიზმის წინააღმდეგ, აგრეთვე, როგორც ოფლმომგვრელ და შარდმდენ საშუალებად. ფოთლებისა და კვირტების ნაყენი გამოიყენება, როგორც სუსტი გამხსნელი, სიყვითლის და სისხლნაკლოვანების საშუალება. ზოგჯერ ნაყოფების, ფოთლების და ქერქის ნაყენს იყენებენ ნივთიერებათა ცვლის მოშლის დროს, გაციებისა და ყივანახველის, საშარდე ბუშტის დაავადებების და თირკმლის კენჭოვანი დაავადების სამკურნალოდ. კუჭის წყლულის დროს ნაყოფების წვენს სვამენ დაახლოებით 60–90 გრამს დღეში სამჯერ.

## სამგლოვიარო განცხადებები

**აურ კაპანაძის**
**გახსენება**

აურ, მესამე წელია, რაც ჩვენთან აღარ ხარ. შენთან განშორებამ ყველას ტკივილი დაგვიტოვა. შენ იყავი ღირსეული და კეთილი კაცი, რასაც ირგვლივ ყველას მიმართ ასხივებდი. ძალიან გვიყვარხარ, გვახსოვხარ და გვენატრები.

*ზაური*



ჯუგული, დავით და ტატო ძიძიგურები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ციალა ძიძიგური**

გამოსვენება: 21 აპრილს, 14 საათზე, ვაშლიჯვრის ჯვართამაღლების ეკლესიიდან.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

## პროგრამა

**ოთხშაბათი**
**20 აპრილი**

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.30** "მოამბე" **07.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 23.00** ტ/სერ **"ამერიკული ოდისეა"** **12.30** "გურმანია" **13.00** ტ/სერ **"ჩენტო ვეტრინე"** **14.05** "ხანმოკლე XX საუკუნე" **14.30** ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **15.00** დ/ფ "ორი გაუმაძღარი იტალიელი" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ **"ქესლი"** **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.40** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.10** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **22.00** დ/ფ "თოფ-გიარი" **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ **"ბოლეინის კიდევ ერთი ასული"** (ს.იოჰანსონი) **03.10** "პირადი ექიმი" **04.00** "კომუნიკატორი" **22.00** ჩემპიონთა ლიგის წინასამატჩო გადაცემა. (პ"ე) **22.40** **ფეხბურთი.** ჩემპიონთა ლიგა **1"4** ფინალური მატჩი.

**08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.30** "არგუმენტების დრო" **13.00** დ/ფ "ალენ ბაშუნგი" **14.00, 16.00** დ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებები" **17.00** "პოლიტალტერნატივა" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.30, 14.40** სერ. **"ორი ბედი"** **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. **"ბამბის ველი"** **11.20** სერ. **"დახურული სკოლა"** **12.30** დღის შოუ **16.00** სერ. **"თანხმობა"** **17.35, 19.03** სერ. **"პატარძალი"** **20.55** სერ. **"ელიფი"** **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** სტუმრად იუმორინასთან **00.30** მხ/ფ **"შავი გველი"** **02.45** მხ/ფ **"მეზობრის საქმრო"**

**06.30** სერ. **"დაკარგული ბავშვობა"** **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. **"დინასტია"** **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. **"ქარადაი - ახალგაზრდობა"** **16.55** სერ. **"ინდური საგა"** **18.45** სერ. **"შენ, მხოლოდ შენ"** **19.45, 20.05** სერ. **"აღთქმა"** **22.00** ნანუკას შოუ **00.00** გააცინე და მოიგე **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.30** ან/სერ. **"ავატარი - ჰაერის უკანასკნელი მბრძანებელი"** **9.00, 19.30** სერ. **"მენტალისტი"** **10.00, 18.30** სერ. **"კარგი ცოლი"** **11.00** სერ. **"გრეის ანატომია"** **13.00** სერ. **"ძვლები"** **15.00** შუადღე **17.30** ცოლები და ქმრები **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30 20.30 22.30** მხ/ფ **"საიდუმლო მასალები"** **0.40 ID Extra** - მოჩვენებებით შეპყრობილი **1.30** URBAN STORIES **2.00** ჯიდიპედია **2.50** შუადღე (გამეორება)

**06.10** მუს.პაუზა **06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.05** დ/ფ "სამონეტო ლეგენდები" **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30** ჩვენი საგანძური **10.45** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **11.00** მრავალთათვის საკეთილო "მერაბ ელიოზიშვილი" **11.30** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** შუადღე ერთსულოვნებაზე **14.30** დეკორატიული ფლორა "ხარისძირა" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართ. ან/ფ **15.30** ველური ბუნება "აფრიკის სამხრეთი" **16.00** დ/ფ "ყუმისთავი, უშბა" **17.10** წმინდანები "ღირსი მამა ილარიონ ქართველი" **17.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"კარიერი"** **20.40** ძილი ნებისა "მეფეთ მეფე დავით აღმაშენებელი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ღვთის სახლი **21.35** დ/ფ "უფლისციხე" **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **01.00** შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.55** "საქმიანი დილა" **10.05, 11.05** სერ. **"შავი ფული და სიყვარული"** **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30** დოკ/ფ "პროფესია მოგზაური" **14.05, 1.00** სერ. **"მფარველი ანგელოზი"** **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** დოკ/სერ. "მსოფლიო საუკეთესო სახლები" **16.05, 17.05** სერ. **"კარმელიტა"** **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05, 2.30** სერ. **"ორსულობის ტესტი"** **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. **"ეკატერინა"** **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.30** სერ. **"მიშკა იაპონჩიკი"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


20 აპრილისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.2447

ევრო — 2.5367

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1852

100 რუსული რუბლი — 3.3188

**ამინდის პროგნოზი 20 აპრილისთვის**








## 19 აპრილიდან

## ერიხ მარია რემარკი

## სამი მეგობარი

გაზეთისა და წიგნის ფასი 12 ლარი












## გაზეთი „ახალი თაობა“ წარმოგიდგენთ

## წიგნებს მაცხოვრის შესახებ ბავშვებისთვის

შედგენილს არქიმანდრიტ ნესტორ ყუბანეიშვილის მიხედვით

25 მარტიდან — იესო ქრისტეს შობა

1 აპრილიდან — იესო ქრისტეს ნათლისღება

8 აპრილიდან — იესო ქრისტეს პირველი მოწაფეები

15 აპრილიდან — იესო ქრისტეს სასწაულები

22 აპრილიდან — საიდუმლო სერობა

29 აპრილიდან — იესო ქრისტეს აღდგომა

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი












## 21 აპრილიდან

## ქარი ტირიფებში

კენეთ გრემი

გვერდების რაოდენობა — 224
ფერადი ილუსტრირებული გამოცემა
ყდა — მაგარი




გაზეთისა და წიგნის ფასი 12 ლარი


## კრიშტიანო რონალდუ პსჟ-ს პრეზიდენტს შეხვდა



წლევანდელ სეზონში ხშირად იწერება იმის შესახებ, რომ მადრიდის რეალის მთავარი ვარსკვლავი კრიშტიანო რონალდუ ზაფხულში პსჟ-ში გადავა სათამაშოდ.

როგორც ჩანს, ეს ჭორები რეალობისგან არცთუ შორს დგას, რადგან პორტუგალიელი ვარსკვლავი რამდენიმე დღის წინ პარიზში იმყოფებოდა, სადაც პსჟ-ს პრეზიდენტ ნასერ ელ ხელაიფის შეხვდა.

შეხვედრის დეტალების შესახებ ცნობილი არ არის, მაგრამ თვითონ ეს ფაქტი მრავლისმეტყველია.

მიუხედავად ამისა, ამ ტრანსფერის განხორციელება პსჟ-ს მაინც გაუჭირდება, რადგან რეალი რონალდუში უზარმაზარ თანხას ითხოვს.

კრიშტიანო რონალდუ რეალში 2009 წელს გადავიდა და მას შემდეგ გუნდის მთავარი ბომბარდირი და ლიდერია.

## ჯეიმი ვარდის ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება



ლესტერის მთავარ ბომბარდირ ჯეიმი ვარდის ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება. ვარდი ვესტ ჰემის წინააღმდეგ შეხვედრის დროს მოედნიდან გააძევეს, რაც ფორვარდმა ძალიან ემოციურად გააპროტესტა.

ინგლისის საფეხბურთო ფედერაცია თვლის, რომ ვარდიმ მსაჯს შეურაცხყოფა მიაყენა და ის მკაცრად უნდა დაისაჯოს.

ლესტერს მომდევნო შეხვედრა სუონსის წინააღმდეგ აქვს, რომელსაც ვარდი აუცილებლად გამოტოვებს, ამის შემდეგ კი კლაუდიო რანიერის გუნდი მანჩესტერს ესტუმრება, სადაც იუნაიტედთან ელის გასვლითი თამაში.

ვარდის დისკვალიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილებას უახლოეს დღეებში მიიღებენ. ინგლისის ჩემპიონატის დასრულებამდე 4 ტურით ადრე ლესტერი სატურნირო ცხრილის სათავეში იმყოფება და უახლოეს მდევარ ტოტენჰემს 5 ქულით უსწრებს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## ლუის ენრიკე: „დეპორტივოსთან ისე უნდა ვითამაშოთ, როგორც ვალენსიასთან“



ბარსელონის სერიოზული კრიზისის ფონზე მისი მთავარი მწვრთნელი ლუის ენრიკე თავდაჯერებულობას არ კარგავს და ამბობს, რომ ბარსელონას, უბრალოდ, იღბალმა აქცია ზურგი.

დღეს ბარსელონას ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა აქვს დეპორტივოს მოედანზე და ამ მატჩში კატალონიელებს გამარჯვება ჰაერივით სჭირდებათ.

ლუის ენრიკემ ასეთი კომენტარი გააკეთა:

– ისე უნდა ვითამაშოთ, როგორც ვალენსიის წინააღმდეგ და, დარწმუნებული ვარ, გამარჯვების მოპოვება არ გაგვიჭირდება. მეტოქის კართან ბევრ საგოლე მომენტს ვქმნით და, უბრალოდ, მეტი ყურადღებაა საჭირო შეტევის დამაგვირგვინებელ ფაზაში.

ბარსელონამ 2003 წლის შემდეგ პირველად ლა ლიგაში 3 თამაში ზედიზედ წააგო და თავისი ჩემპიონობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა.

## ჟოზე მაურინიო პსჟ-საც მოუნდა



როგორც ჩანს, ჯერჯერობით ჟოზე მაურინიოს მანჩესტერ იუნაიტედში მისვლა ბოლომდე გადაწყვეტილი საქმე არ არის, რადგან პსჟ-მ ჟოზეს წინადადებით მიმართა, რომ მომავალ წელს პორტუგალიელი სპეციალისტი სწორედ პარიზულ გუნდს ჩაუდგეს სათავეში.

ჯერჯერობით თვითონ მაურინიო ამაზე კომენტარს არ აკეთებს და ზაფხულის დადგომას ელოდება, როდესაც საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს იმის შესახებ, თუ რომელ გუნდს ჩაუდგეს სათავეში.

ჟოზემ ეს სეზონი ჩელსიში დაიწყო, მაგრამ არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო დეკემბერში მოხსნეს.

## რეალი ბენზემას ახალ კონტრაქტს შესთავაზებს

მადრიდის რეალი თავის ფრანგ ფორვარდ კარიმ ბენზემას ახალ კონტრაქტს შესთავაზებს, რომლის მიხედვითაც, ბენზემა სამეფო კლუბში 2021 წლამდე დარჩება.



რეალის ხელმძღვანელობა ბენზემას თამაშით კმაყოფილია და ფრანგ ფეხბურთელს ხელფასს გაუზრდის.

თვითონ ბენზემამ ასევე გამოთქვა იმის სურვილი, რომ რეალში რაც შეიძლება დიდხანს ითამაშოს.

ბენზემა სამეფო გუნდში 2009 წელს გადავიდა და რეალის შემადგენლობაში უკვე მე-7 სეზონს ატარებს.



## იუმორი

მოხუცმა ინგლისელმა გრაფმა 18 წლის გოგონა მოიყვანა ცოლად. ქორწილის შემდეგ სიძე და პატარძალი ღამის გასათევად ცალ-ცალკე ოთახებში განაწილდნენ. ახალგაზრდა ცოლი წევს მოწყენილი და ფიქრობს:

– სხვა რა გზა მაქვს, საყვარელს გავიჩენ და ყველაფერი კარგად იქნება;

ამ დროს კარზე კაკუნი ისმის. გოგონა კითხულობს:

– ვინ არის?

– ეს მე ვარ, გრაფი, შენი მეუღლე, მოვედი, რათა ჩემი მოვალეობა შევასრულო.

– მობრძანდით, გრაფო...

გრაფმა თავისი მამაკაცური მოვალეობა შეასრულა და თავის ოთახში დაბრუნდა, ცოლი კი ფიქრობს:

– გრაფს არა უშავს, ჯერ კიდევ შესძლებია, თუმცა ერთი საყვარელი მაინც დამჭირდება. ცოტა ხანში კარზე ისევ გაისმა კაკუნი:

– ვინ არის?

– ეს მე ვარ, გრაფი, შენი მეუღლე, მოვედი, რათა ჩემი მოვალეობა შევასრულო.

– მობრძანდით, გრაფო...

გრაფმა თავისი მამაკაცური მოვალეობა ისევ შეასრულა და თავის ოთახში დაბრუნდა.

– ჰოო, მგონი, ჯერ საყვარელი არ დამჭირდება, – ფიქრობს ცოლი. ამ დროს კარზე ისევ კაკუნი გაისმა:

– ვინ არის?

– ეს მე ვარ, გრაფი, შენი მეუღლე, მოვედი, რათა ჩემი მოვალეობა შევასრულო.

– კი მაგრამ, თქვენ ხომ უკვე ორჯერ შეასრულეთ მეუღლის მოვალეობა!

– ოჰ, ეშმაკმა დალახვროს ეს სკლეროზი!

•••

შვილი მამას ეკითხება:

– მამიკო, მეგობარს რომ გაუჭირდეს, ხომ უნდა დავეხმარო?

– კი, შვილო, მაგრამ შენც რაღა გაჭირვებულს უმეგობრდები?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. დარბაზის ფეხბურთი; 2. ტბა ნინოწმინდას რაიონში; 3. აზერბაიჯანული ნავთობკომპანია; 4. მე-15 საუკუნის ნიდერლანდელი ფერმწერი; 5. თამბაქოში არსებული ალკალოიდი; 8. ვენესუელას დედაქალაქი; 12. ემილ ზოლას რომანი; 13. მდინარის, ტბის წყლის საშუალო დონე წლის განმავლობაში; 14. მთიანეთი სამხრეთ ამერიკაში; 16. დიპლომატიური პროტესტის ერთ-ერთი ფორმა; 18. აბრეშუმის ჭიის თესლი; 20. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა.

**თარაზულად**: 6. თათარაში ამოვლებული ნიგვზის ან თხილის ასხმულა; 7. საზეიმო კონცერტის დასკვნითი ნაწილი; 8. ბრაზილიური არაყი; 9. თბილ ქვეყნებში გავრცელებული მარადმწვანე მცენარე; 10. სპილენძის შემცველი ხასხასა მწვანე მინერალი; 11. ნიადაგის ღრმად დამუშავება; 15. საავტომობილო საბურავების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 17. აღმოსავლური ხელჩართული ბრძოლის ერთ-ერთი სახეობა; 19. მევენახეობა – მეღვინეობის რაიონი აღმოსავლეთ საფრანგეთში; 21. საგამოფენო შენობა; 22. რაიმე საქმის ზერელედ მცოდნე; 23. ქართული ნაციონალური კერძი.



*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*